ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუსთავში ორი ადამიანი შაურმით მოიწამლა



გვ.5

პარასკევი, 23 ივნისი, 2023 №122 (9158) ფასი: 80 თეთრი

# სალომე ზურაბიშვილმა ნიკა გვარამია შეიწყალა



გვ.2

## ივანიშვილს „ოცნება“ გლეხებივით მორჩილებაში ჰყავს



გვ.2

რომან გოცირიძე: „სოლიდარობას ვუცხადებ „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის განსხვავებული ორიენტაციის პირებს, მუდამ მათი ინტერესების დამცველი ვიქნები“

## „უკვე დაწყებულია არჩევნების მიტაცება, რას ელოდება ოპოზიცია?!“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ქართულ ოცნებას“ რეალურად არ უნდა სტატუსის მიღება, სტატუსის შემთხვევაში არჩევნებს ვერ გააყალბებენ“



გვ.3

## „მიშას არ უნდა, ლიდერის როლი დაკარგოს“



დათო ლორთქიფანიძე: „სააკაშვილმა იჩქარა ბოლო განცხადების გაკეთება, მას გადაავიწყდა, რომ „სასიკვდილოდ“ ავად იყო“

გვ.4



„კრემლს ომისთვის ფული აქვს რეგიონებისა და რესპუბლიკების ძარცვის ხარჯზე“

## რუსეთი უკვე იშლება?!

გვ.4



## პრემიერ-მინისტრი თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს გენერალურ მდივანს შეხვდა

გვ.4

1993230720223

3 ზურაბ ჩხაიძე: „სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ციხეში დაბრუნდეს“

3 ლევან ხაბეიშვილი: „უჩა მამაცაშვილის კადრი დანიშნეს ეროვნულ ბანკში მაღალ თანამდებობაზე“

7 ისტორიული გამარჯვება — საქართველომ ევროპირველობა მოგებით დაიწყო

6 რუსი ოკუპანტების ახალი პრიორიტეტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ივანიშვილს „ოცნება“ გლეხებივით მორჩილებაში ჰყავს

## რომან გოცირიძე: „სოლიდარობას ვუცხადებ „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის განსხვავებული ორიენტაციის პირებს, მუდამ მათი ინტერესების დამცველი ვიქნები“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს რომან გოცირიძე პასუხობს.

***— ბატონო რომან, მართალია, კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით საბოლოო დასკვნის გამოქვეყნებამდე ოთხი თვეა დარჩენილი, მაგრამ ახლა შუალედური ანგარიში ხდება ცნობილი და შეფასებები საკმაოდ არასახარბიელოა. ვისმენთ შეფასებებს, რომ 12 პუნქტის მესამედიც არ შესრულებულა. რა მოლოდინი გაქვთ, როგორია თქვენი შეფასებები?***

— მესამედი კი არა, არც ერთი შესრულებულა. რასაც აკეთებენ, ეს არის მხოლოდ ფორმალური და ფასადური. შესრულდა მხოლოდ სათაურების დონეზე. შინაარსობრივად, რა მოთხოვნებიც იყო ამ რეკომენდაციებში, არც ერთი შესრულებულა. მაგალითად, შესრულებულად ითვლება ის მოთხოვნა, რომ უნდა შეიქმნას ანტიკორუფციული ბიურო, კი ბატონო, შეიქმნა. თუმცა, მათი მოთხოვნა იყო, რომ ამ ანტიკორუფციულ ბიუროს ჰქონოდა განსხვავებული უფლებები, ვიდრე ახლა აქვს. მაგალითად, საგამოძიებო უფლება. საგამოძიებო ბიურო უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი. როგორი დამოუკიდებლობაა, როცა პირდაპირ მთავრობას ემორჩილება და პრემიერ-მინისტრი ნიშნავს და ათავისუფლებს. ასეთი ანტიკორუფციული ბიურო გამოიძიებს ამ ხელისუფლების კორუფციულ საქმიანობას?! გამოიძიებს და იმ წუთას მოხსნიან.

***— ანუ მთლიანად ხელისუფლების კონტროლის ქვეშაა ეს სამსახური?***

— რა თქმა უნდა. რაც მოუვიდა პერსონალური დაცვის სამსახურს, ისიც ხომ ვნახეთ. იქ, საერთოდ, საოცრება მოხდა, მთლიანად სამსახური გააუქმეს იმის გამო, რომ მისი ხელმძღვანელის დანიშვნაში ვერ ერეოდა მთავრობა. აი ეს არის არაფორმალური და ოლიგარქიული მმართველობის ყველაზე მახინჯი მხარე. როდესაც მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს იღებენ ნებისმიერი ხერხებით. მათთვის მთავარი მართვის ბერკეტების შენარჩუნებაა და არა ქვეყანაზე ზრუნვა და ევროკავშირში გაწევრიანება.

***— დეოლიგარქიზაციის კანონზე რას იტყვით? დავიცდით დეკემბრამდე და არ მივიღებთო. ანუ რა გამოდის, ევაჭრებიან დასავლეთს? ვიცით, რომ საკმაოდ ნეგატიური შეფასება ჰქონდა ვენეციის კომისიას.***

— მათ უნდათ, რომ მოთხოვნა, ქვეყანაში მოხდეს დეოლიგარქიზაცია, ამოღებული იყოს რეკომენდაციებიდან, მაგრამ ამას ევროკავშირი არასდროს გააკეთებს. დეოლიგარქიზაცია არის მთავარი ამოცანა და ოლიგარქიაა ქვეყნის ყველაზე დიდი პრობლემა. როდესაც არ არსებობს კანონები, არც კონსტიტუცია და არსებობს ერთი ფულიანი ადამიანი, რომელსაც გლეხებივით ჰყავს მორჩილებაში მთელი სახელისუფლო აპარატი და პარლამენტი.



## დეოლიგარქიზაციის კანონის მიღებას აზრი არ აქვს

***— არის შესაძლებელი, რომ მოხდეს დეოლიგარქიზაცია ამ ქვეყანაში?***

— დეოლიგარქიზაცია ვერ მოხდება იქ, სადაც ოლიგარქი მართავს ქვეყანას. ამიტომ დეოლიგარქიზაციის კანონის მიღებას აზრი არა აქვს, ვენეციის კომისიამ დაასკვნა. თუ არაფორმალური, ოლიგარქიული მმართველობა ჩვენში უფრო პოლიტიკურ მცნებად აღიქმებოდა, ვენეციის კომისიამ სამართლებრივი დოკუმენტი დადო და განაჩენი გამოუტანა „ქართულ ოცნებას“. ვენეციის კომისიის დასკვნიდან ვგებულობთ, რომ საქართველოში არის ოლიგარქიული სისტემა და ამ პირობებში ანტიოლიგარქიული კანონის მიღებას აზრი არა აქვს.

***— ანუ ამ კანონს ხელისუფლება ოპონენტების წინააღმდეგ როგორც იარაღს ისე გამოიყენებდა?***

— დიახ, სწორედ ასე იქნებოდა. ეს ოლიგარქიული რეჟიმის ხელში იქნებოდა იარაღი ოპონენტების წინააღმდეგ. „ქართულ ოცნებას“ უნდა, რომ ეს კანონი სწორედ ამ სახით იქნას მიღებული, მაგრამ ევროკავშირს არ უნდა კანონის ამ ფორმით მიღება. მათი სურვილია, დეოლიგარქიზაცია მოხდეს ინსტიტუციონალურად.

***— თქვენ რა მოლოდინი გაქვთ? მოგვცემენ კანდიდატის სტატუსს?***

— ეს 12 რეკომენდაცია იყო ელემენტარულად შესასრულებელი. ფაქტობრივად, ფორმალური რეკომენდაციები იყო, იმდენად მარტივი იყო. თუმცა, ამასაც კი არ ასრულებენ. რა თქმა უნდა, რეალური რეკომენდაციების შესრულება დაიწყება მას შემდეგ, რაც ქვეყანა მიიღებს სტატუსს და შეიცვლება ხელისუფლება. ძალიან ბევრი, ძალიან მძიმე და არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღება მოუწევს მომავალ ხელისუფლებას. დღეს საქართველოს თუ მისცემენ სტატუსს, ეს გამოწვეული იქნება მხოლოდ და მხოლოდ გეოპოლიტიკური ვითარებიდან, საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობიდან და იმის სურვილით, რომ საქართველო არ მოწყდეს დასავლეთის ორბიტას. სტატუსის მიცემა ავანსად, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პრორუსული ხელისუფლება გვყავს, ეს არის აუცილებელი. ქართველი ხალხი არ იმსახურებს ამ მთავრობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ხალხმა აირჩია ეს მთავრობა.

***— არა და სულ ვისმენთ შეფასებებს, რომ ხალხი იმსახურებს სტატუსს და მთავრობა – არა.***

— ქართველი ხალხი ნამდვილად სჯობს მის მთავრობას, რომლის 90%-ს უნდა ევროკავშირი. თუმცა, ერთია, ხალხს რა უნდა და მეორეა, რა უნდა და როგორ იქცევა ხელისუფლება. ეგრე ბელორუსის ხალხსაც უნდა ევროკავშირში გაწევრიანება, მაგრამ დიქტატორი აზით თავზე. ეს არგუმენტი, რომ ხალხი იმსახურებს და ხელისუფლება არა, ეს არ არის სერიოზული არგუმენტი, ვინაიდან სხვა ქვეყნის ხალხიც იმსახურებს, რომლებსაც ცუდი ხელისუფალი ჰყავთ! ქვეყანას წარმოადგენს მისი მთავრობა, რომელიც არაფერს იმსახურებს. თუმცა, იმ ვითარებიდან გამომდინარე, რომ კანდიდატის სტატუსის არმიცემა რუსეთისთვის გახდეს დამატებითი სტიმული, საქართველოზე კიდევ უფრო მეტი ზემოქმედების მოსახდენად, რადგან ეს ყველაფერი არ აღიქვას დასავლეთის დათმობად და უკან დახევად, ძველი გამოცდილებიდან გამომდინარე, როგორც იქცეოდა რუსეთი, ამ შემთხვევაში აუცილებელია საქართველომ მიიღოს კანდიდატის სტატუსი. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მავნებელი მთავრობა ჰყავს.

***— ბატონო რომან, საუბრობთ, რომ აუცილებელია ხელისუფლების შეცვლა, სხვაგვარად რთული იქნება ამ სიტუაციიდან გამოსვლა. რამდენად გვაქვს ამის შანსი და რამდენად იაზრებს ამ ყველაფერს ოპოზიცია, რომელიც ასე დაქსაქსული და დაპირისპირებულია?***

— ბოლო გამოკითხვამ აჩვენა, რომ ოპოზიციის ჯამური ხმები, მნიშვნელოვნად აღემატება ხელისუფლებისა და მისი სატელიტების ხმებს. თუმცა, პრობლემა არის დაქსაქსულობა და დიდი პრობლემაა ის, რომ საარჩევნო ბარიერი იქნება 5%, რომლის გადალახვა თითქმის შეუძლებელია ოპოზიციისთვის, გარდა ერთი ოპოზიციური პარტიისა. ოპოზიციური ერთობა იმ ფორმით უნდა შეიქმნას, რომ არ დაიკარგოს ოპოზიციური ხმები. აი ეს არის გამარჯვების ფორმულა. როცა ერთობაზეა საუბარი, სინამდვილეში ამ საუბრის შედეგი გათიშულობა არ უნდა იყოს.

***— რა შანსები აქვს ოპოზიციას „ოცნების“ წინააღმდეგ ბრძოლაში?***

— ერთიანობის შემთხვევაში შანსები გაცილებით დიდია. თუ ჩვენ ღარიბაშვილს დავუჯერებთ, მაშინ წასულია „ქართული ოცნების“ ამბავი.

***— რატომ? რას გულისხმობთ?***

— თუ ამომრჩევლის 22% ლგბტ-ია, ჩვენს შემთხვევაში ეს 440 ათასი ხმაა ორი მილიონი ამომრჩევლიდან. მინდა გითხრათ, რომ დიდი შეცდომა დაუშვეს პუტინისტური პროპაგანდის გაჩაღებისთვის. წინა არჩევნების დროს „ქართული ოცნების“ პროპაგანდა იმაზე იყო აგებული, რომ ტერიტორიებს გვართმევენ და „გარეჯი საქართველოა“! არჩევნების მერე ეს გაახსენდა ვინმეს?! ახლა ახალი თემა შემოაგორეს და გაიძახიან, ქართველობას გვართმევენო.

„ქართული ოცნების“ ლიდერის გუშინდელი ჰომოფობიური განცხადებების შემდეგ, მინდა სოლიდარობა გამოვუცხადო „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის განსხვავებული ორიენტაციის პირებს, ქალი იქნება თუ კაცი და აღვუთქვა, რომ მიუხედავად პოლიტიკურ შეხედულებებში რადიკალური განსხვავებულობისა, მუდამ ვიქნები მათი ინტერესების დამცველი. ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალი და კანონის წინაშე თანასწორია!

# სალომე ზურაბიშვილმა ნიკა გვარამია შეიწყალა



სალომე ზურაბიშვილმა ნიკა გვარამია შეიწყალა. პრეზიდენტმა ინფორმაცია საგანგებო ბრიფინგზე გააკეთა.

სალომე ზურაბიშვილი განმარტავს, რომ შეწყალების გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც უზენაესმა სასამართლომ გვარამიას საკასაციო სარჩელი არ დააკმაყოფილა.

— დღეს მოვაწერე ხელი ნიკოლოზ გვარამიას შეწყალების აქტს. ეს გადაწყვეტილება მივიღე მას შემდეგ, რაც 19 ივნისს ამოიწურა ყველა სამართლებრივი საფეხური, როცა უზენაესმა სასამართლომ არ მიიღო განსახილველად საკასაციო სარჩელი. ამ გადაწყვეტილებაზე არ ვაპირებ რამე ახსნა-განმარტება გაგიზიაროთ, რადგან ეს არის ჩემი დისკრეციული უფლება, მინდა, მხოლოდ ის გაგახსენოთ, რაც ბრიუსელში ვთქვი, რომ ასეთი გადაწყვეტილება, პრეზიდენტის დისკრეციული უფლებაა, ვინმეს ზეწოლის, რჩევის, რეკომენდაციის თუ სხვა ტიპის მუქარის გარეშე, — ამბობს პრეზიდენტი.

სალომე ზურაბიშვილი გამოეხმაურა ასევე იმას, თითქოს ის პატრიარქთან შეხვედრას და მისგან შეწყალებაზე ნებართვას ითხოვდა, რაც მისი თქმით, სიმართლეს არ შეესაბამება.

# მარიუპოლში დაღუპულ ბახვა ჩიქობავას უკრაინის სახალხო გმირის წოდება მიანიჭეს



მარიუპოლში დაღუპულ ბახვა ჩიქობავას უკრაინის სახალხო გმირის წოდება მიანიჭეს – ინფორმაციას უკრაინაში მებრძოლი ქართველები ავრცელებენ

ქართველი გმირი, ბახვა ჩიქობავა 2022 წლის 19 მარტს ოკუპანტების საარტილერიო თავდასხმისას მარიუპოლში დაიღუპა. მისი ცხედრის ოკუპირებული ქალაქიდან გამოსვენება ამ დრომდე ვერ მოხერხდა.

# ნათია თურნავა: „რაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკა დატოვა და წავიდა, მასთან კომუნიკაცია არ მქონია“



— მე, როგორც ყოფილი ეკონომიკის მინისტრი, საქართველოში ვიცნობ თითქმის ყველა ბიზნესმენს, მათ შორის, მსხვილ ბიზნესმენებსაც. ეს ნამდვილად არ არის საფუძველი იმისა, რომ ვინმემ მიკერძოებაში დამადანაშაულოს, — ამის შესახებ ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა ნათია თურნავამ განაცხადა.

ნათია თურნავამ, კითხვაზე, თანამშრომლობს თუ არა ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან, ან მასთან დაახლოებულ ბიზნესმენებთან, ვანო ჩხარტიშვილთან და უჩა მამაცაშვილთან, პასუხობს, რომ არანაირი თანამშრომლობა, რომელიც ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის პრინციპს ეწინააღმდეგება, არ განხორციელებულა.

მისივე თქმით, ბიძინა ივანიშვილი არ უნახავს მას შემდეგ, რაც მან პოლიტიკა დატოვა.

— მესმის თქვენი კითხვის მოტივაცია, მაგრამ არანაირი თანამშრომლობა, რომელიც ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის პრინციპს ეწინააღმდეგება, არ განხორციელებულა. ყველა ჩემი გადაწყვეტილება იქნება საჯარო და ყველა შეძლებთ, იმსჯელოთ, ჩვენ ვართ ობიექტურები თუ მიკერძოებული. მე არ ვარ მარტო ეროვნული ბანკის მენეჯმენტში, მთლიანი გუნდი რჩება და ასრულებს თავის მოვალეობას, ვინაწილებთ პასუხისმგებლობებს. აქედან გამომდინარე, კვლავაც ვიქნებით მაქსიმალურად გამჭვირვალე და არ გექნებათ საფუძველი, რომ რაიმე ეჭვები გამოთქვათ.

გინდათ, გაგცეთ პასუხი, რაიმე საქმიანი თანამშრომლობა მაქვს თუ არა დღეს აღნიშნულ პირებთან? ბიძინა ივანიშვილზე შემიძლია გითხრათ, რომ რაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკა დატოვა და წავიდა, პირადად მე მასთან არანაირი კომუნიკაცია არ მქონია. დარწმუნებული ვარ, არც ჩემს ყოფილ კოლეგებს. რაც შეეხება ვანო ჩხარტიშვილს, უჩა მამაცაშვილს, რასაკვირველია, ვიცნობ. ერთ-ერთი მათგანი ჩემი ყოფილი მინისტრი იყო. მე და უჩა მამაცაშვილი საპარტნიორო ფონდში ვიყავით კოლეგები და ვფიქრობ, საქართველოში ნაცნობობა დანაშაული არ არის. რაც შეეხება საკითხს, მქონდა თუ არა რაიმე საქმიანი თანამშრომლობა მას შემდეგ, რაც ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი გავხდი, ვერ მექნებოდა, რადგან არააღმასრულებელი წევრი გახლდით და ზოგადად, ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებების მიღებაში არ ვმონაწილეობდი. მომავალში ვინმესთან თანამშრომლობა თუ მექნება, მათ შორის მსხვილ ბიზნესმენებთან, თქვენთვის ნაცნობ სახელებთან და გვარებთან, ეს მოხდება საჯაროდ და კანონმდებლობის ფარგლებში, — განაცხადა ნათია თურნავამ.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „უკვე დაწყებულია არჩევნების მიტაცება, რას ელოდება ოპოზიცია?!“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ქართულ ოცნებას“ რეალურად არ უნდა სტატუსის მიღება, სტატუსის შემთხვევაში არჩევნებს ვერ გააყალბებენ“



ნათია ხურცილავა

***„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.***

***– ლაშა, ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციის ერთიან სტრატეგიაზე საუბრობს. ოპოზიცია საპარლამენტო არჩევნებზე რა სტრატეგიითა და რა ფორმატით უნდა გავიდეს?***

– ოპოზიციის კოორდინაცია მხოლოდ ერთ საკითხზე უნდა მოხდეს და ეს უნდა ეხებოდეს საარჩევნო სისტემას, საარჩევნო გარემოს, მის შეცვლას. ეს მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში მოხდება, თუ ოპოზიცია ქუჩაში გავა და ხალხთან ერთად დაანახებს ივანიშვილს, რომ ის კიდევ ერთხელ ველარ მიიტაცებს ძალაუფლებას.

წარმოუდგენელია, ამ ხელისუფლებამ რამე შეცვალოს სასიკეთოდ, ხალხის ძალისხმევის გარეშე. ამიტომ ახლავე უნდა დავიწყოთ ქუჩაში ბრძოლა საარჩევნო ბარიერის დასაწევად. 5-პროცენტიანი ბარიერი აწყობს მხოლოდ „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას. ერთიც იყო რეჟიმი და მეორეც. ამ ქვეყანას კი არც ერთი აწყობს და არც – მეორე.

წვრილ-წვრილმა პარტიებმა დღესვე უნდა ვიფიქროთ, როგორ ვაიძულოთ ხელისუფლება, რომ სამართლიანი საარჩევნო გარემო შექმნას და სამართლიან არჩევნებს მივაღწიოთ.

თურმე ნუ იტყვი და ირაკლი კობახიძისთვის ევროკავშირთან სავაჭრო თემა ყოფილა ბარიერის საკითხი. კობახიძემ ევროკავშირს უთხრა, ჯერ მოგვეცით სტატუსი და შემდეგ დავწევთ საარჩევნო ბარიერსო. ამაზე სამარცხვინო რა უნდა იყოს, როდესაც სავაჭრო მონეტად აქცევ შენი ქვეყნის მომავალს. 12 პუნქტის შესრულებაზე კი არ საუბრობს, ჯერ სტატუსი მოგვეცით და მერე დავწევთ ბარიერსო.

***– ალბათ, წარმოუდგენელია, რომ ბარიერი დაწიონ.***

– მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში დაწევენ, თუ ხალხი ქუჩაში გავა ამ მოთხოვნით. ხალხს კი უნდა ავუხსნათ, რომ მაღალი ბარიერი ნიშნავს კვლავ ავტოკარტიას, ერთი პარტიის მმართველობას, ერთი პარტიისა და ერთი კაცის ჰეგემონიას, რაც არაერთხელ გვაქვს ნანახი.

ერთი პარტიის მმართველობა ნიშნავს ერთი კაცის მმართველობას. ბოლოს და ბოლოს, ბელადომანია ხომ უნდა დასრულდეს ამ ქვეყანაში. შევარდნაძიდან მოყოლებული დღემდე ბელადომანია გვქონდა და ამიტომაც ვართ იმ რელობაში, რომელშიც ვართ. ქვეყანა იმართება ხელის ბიჭებით. სახელმწიფო ინსტიტუტები აღარ არსებობენ. ყველაფერი ერთ კაცს ემორჩილება – სასამართლო, პარლამენტი, პროკურატურა, საარჩევნო ადმინისტრაცია. ეს არის ავტოკრატია. ჩვენთან, ერთპარტიული მმართველობა, ერთი კაცის მმართველობა ყველა თავისი სიმახინჯით არის გამოვლენილი. ამიტომ არავითარი ფსევდოკოალიცია და ხელოვნური გაერთიანებები. ყველა მნიშვნელოვანი, გარდამტეხი არჩევნები თითქმის კოლაიციის გამარჯვებით სრულდებოდა, მაგრამ შედეგი მაინც ავტოკრატიული დგებოდა.

რეალური კოალიციები არჩევნების შემდეგ უნდა შედგეს, როდესაც პარლამენტში არც ერთ პარტიას ეყოლება უმრავლესობა და საჭირო გახდება, მთავრობის დასაკომპლექტებლად, ერთმანეთის დახმარება.

***– ამის მიღწევა როგორ წარმოგიდგენიათ?***

– ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში, თუ იქნება უბარიერო საარჩევნო სისტემა. ეს კი მხოლოდ ხალხის ზეწოლითა და ქუჩაში ბრძოლით არის შესაძლებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში ბელადომანიას ვერ დავასრულებთ.

***– სტატუსთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ. ხელისუფლების წარმომადგენლები 50-50-ზე საუბრობენ.***

– აბა სხვა რაზე ისაუბრებენ, როდესაც სტატუსი არ აწყობთ. „ქართულ ოცნებას“ რეალურად არ უნდა სტატუსის მიღება. ამისთვის ისინი ყველაფერს აკეთებენ. სტატუსი ნიშნავს სამართილიან არჩევნებს. სტატუსის შემთხვევაში არჩევნებს ვერ გააყალბებენ, ვერ მიიტაცებენ. გაყალბებული არჩევნებით ევროკავშირში არავინ მიგვიღებს, მაგრამ გზა ხსნილი და დალოცვილია რუსეთში, პუტინის სისხლიან რუსეთში. დემოკრატიასთან არაფერი ესაქმება ძალაუფლების მიტაცებას, დაშინებას, ოპონენტებისთვის ქვების სროლას, დასისხლიანებას, ციხეში ჩასმას. ეს სადაური მეთოდებია, კარგად ვიცით.

უკვე დაწყებულია არჩევნების მიტაცება. რაც მოხდა საარჩევნო ადმინისტრაციაში, ეს უკვე ამის ნიშანია. წარმოუდგენელია რას ელოდება ოპოზიცია და დღესვე რატომ არ გადის ქუჩაში საარჩევნო გარემოს შეცვლის მოთხოვნით, მაგრამ ვიღაც-ვიღაცებს, როგორც ჩანს, პარლამენტის კორიდორებსა და ბუფეტში სეირნობა ურჩევნიათ. ბოლოს და ბოლოს, ხელიდან უნდა გააგდონ კალკულატორები და თუ უნდათ პოლიტიკაში დარჩენა, ქუჩაში ხალხთან ერთად უნდა გავიდნენ.

# პრემიერ-მინისტრი EBRD-ის დირექტორთა საბჭოს წევრებს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი EBRD-ის დირექტორთა საბჭოს წევრებს შეხვდა.

მხარეებმა ისაუბრეს საქართველოს მთავრობასა და EBRD-ს შორის არსებულ წარმატებულ თანამშრომლობასა და იმ მნიშვნელოვან პროექტებზე, რომელიც როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება. აღინიშნა, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს საქართველოში, საერთო ჯამში, 283 პროექტში დაახლოებით 5 მლრდ ევროს ინვესტიცია აქვს განხორციელებული.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ქვეყნის პრიორიტეტული სფეროების დაფინანსების თვალსაზრისით EBRD-ის მხარდაჭერა ფასდაუდებელია. გამოითქვა იმედი, რომ ნაყოფიერი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

საუბარი შეეხო ქვეყანაში მიმდინარე სტრუქტურულ რეფორმებსა და დემოკრატიული განვითარების გზაზე მიღწეულ პროგრესს.

ყურადღება დაეთმო იმ ფაქტს, რომ მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, საქართველოს მთავრობის ეფექტურმა პოლიტიკამ ბოლო 2 წლის განმავლობაში ქვეყანას ორნიშნა ეკონომიკური ზრდა მოუტანა. ამასთან, ყურადღება დაეთმო კონკრეტულ მაჩვენებლებს, მათ შორის, აღინიშნა დადებითი ტენდენციები ტურიზმის მიმართულებით.

მხარეებმა აგრეთვე ისაუბრეს მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომელიც ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით ხორციელდება.

# ლევან ხაბეიშვილი: „უჩა მამაცაშვილის კადრი დანიშნეს ეროვნულ ბანკში მაღალ თანამდებობაზე“



– უჩა მამაცაშვილის კადრი დანიშნეს ეროვნულ ბანკში მაღალ თანამდებობაზე, საიდანაც ბიძინა ივანიშვილი ხალხის ძარცვის ხარჯზე დამატებით მილიონებს იშოვის, – ამის შესახებ ლევან ხაბეიშვილმა ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე ნათია თურნავას დანიშვნასთან დაკავშირებით განაცხადა.

ლევან ხაბეიშვილმა თურნავა ჯერ კიდევ ეკონომიკის მინისტრის თანამდებობაზე გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ მან ეკონომიკის მინისტრობის დროსაც კი ზიანი მიაყენა საქართველოს ბიუჯეტს.

– ეკონომიკის მინისტრი რომ იყო, მაშინ შეჭამა საქართველოს ბიუჯეტი, „გახრა“ პირდაპირი მნიშვნელობით ის, რაც ქართველი ხალხის იყო და ამასობაში ჩვენ ვხედავთ, რომ ბიძინა ივანიშვილმა და პირადად უჩა მამაცაშვილმა მისი კადრი განაწესა ეროვნულ ბანკში მაღალ თანამდებობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ დამატებით, როგორც მოუნდებათ, მათ შორის, საბანკო ოლიგარქიის მართვა, დამატებით როგორც მოისურვებენ დოლარის კურსის ცვლილებით მილიონების შოვნას ძარცვის ხარჯზე ძალიან მარტივად შეისრულებენ უჩა მამაცაშვილი და ბიძინა ივანიშვილი.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს უჩა მამაცაშვილის კადრი დანიშნეს ეროვნულ ბანკში მაღალ თანამდებობაზე და ჩააბარეს ის სისტემა, რომელი სისტემიდანაც. გატარებული პოლიტიკის გამო, ბიძინა ივანიშვილი ქართველი ხალხის ძარცვის ხარჯზე დამატებით მილიონებს იშოვის. უნდა დავშალოთ ეს ოლიგარქია, უნდა გავიმარჯვოთ რუსულ კრიმინალურ ხელისუფლებაზე და მხოლოდ ამის შემდეგ ასეთ ნეპოტისტურ, კრიმინალურ გადაწყვეტილებებს მოეღება ბოლო, – განაცხადა ხაბეიშვილმა.

# ზურაბ ჩხაიძე: „სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ციხეში დაბრუნდეს“



„ვივა მედის“ კლინიკური დირექტორის, ზურაბ ჩხაიძის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ამ ეტაპზე, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მესამე პრეზიდენტი ციხეში დაბრუნდეს.

ზურაბ ჩხაიძე „პირველებთან“ ამბობს, რომ დაპატიმრებული პრეზიდენტი კარგად არ არის და მისი მდგომარეობა შეესაბამება იმას, რომ უნდა იმყოფებოდეს სტაციონარის პირობებში მკურნალობაზე.

– ახლა სტაციონარში რახან იმყოფება, რა თქმა უნდა, მისი მდგომარეობა შეესაბამება იმას, რომ უნდა იმყოფებოდეს სტაციონარის პირობებში მკურნალობაზე. პაციენტი როცა გამოჯანმრთელდება, ორი ვარიანტი აქვს, თუ ის არის სამოქალაქო პირი, ბრუნდება საკუთარ ოჯახში, თუ ის არის პატიმარი, გაუმჯობესების შემდეგ ბრუნდება დაწესებულებაში, საიდანაც იქნა მოყვანილი.

სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ეტაპზე ნამდვილად არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ის ციხეში დაბრუნდეს. ნამდვილად არის კრიტერიუმები, რომლებსაც აკმაყოფილებს, რომ ის უნდა იმყოფებოდეს სტაციონარის პირობებში. რა თქმა უნდა, კარგად მყოფი ადამიანი კლინიკაში არ წევს, – ამბობს ზურაბ ჩხაიძე.

# ოლივერ ვარჰეი: დეოლიგარქიზაციის მიმართულებით საქართველომ მიაღწია შეზღუდულ პროგრესს



ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისრის ოლივერ ვარჰეის განცხადებით, საქართველომ დეოლიგარქიზაციის ნაწილში შეზღუდულ პროგრესს მიაღწია, მედია პლურალიზმის მიმართულებით კი საერთოდ ვერ მიაღწია პროგრესს.

ამის შესახებ ვარჰეიმ პრესკონფერენციაზე ისაუბრა, სადაც წარადგინა ზეპირი ანგარიში იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ასრულებენ საქართველო, უკრაინა და მოლდოვა მათთვის მიცემულ რეკომენდაციებს.

– დეოლიგარქიზაციის მიმართულებით საქართველომ მიაღწია შეზღუდულ პროგრესს. ამ მიმართულებით ვენეციის კომისიამ თავის უკანასკნელ რეკომენდაციაში, რომელიც ივნისში გამოქვეყნდა, კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კანონპროექტი არ უნდა იქნას მიღებული არსებული ფორმით და აქედან გამომდინარე, მე მივესალმები გუშინ და გუშინწინ მმართველი პარტიის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომ ეს კანონპროექტი არ იქნება მიღებული. ახლა საქართველო უნდა კონცენტრირდეს კანონის მიღებაზე, რომელიც ჩამოაყალიბებს სისტემურ მიდგომას, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად, მათ შორის, კონკურენციის პოლიტიკისა და პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წესების გაძლიერების მიმართულებით.

რაც შეეხება მედია პლურალიზმისა და მედია მფლობელების წინააღმდეგ სამართლებრივი პროცედურების სტანდარტებს, საქართველომ ვერ მიაღწია ვერანაირ პროგრესს. იმისთვის, რომ ეს პუნქტი შეასრულოს, საქართველომ მაუწყებლის შესახებ კანონში ცვლილები უნდა შეიტანოს ევროპული საბჭოს მოსაზრების შესაბამისად და უნდა უზრუნველყოს ჟურნალისტების უსაფრთხოება, ამასთან, უნდა გაზარდოს როგორც ჟურნალისტების, ასევე, მედიაორგანიზაციების მფლობელების დაცულობა და თავისუფლება, – განაცხადა ვარჰეიმ.

# რუსეთი უკვე იშლება?!

## „კრემლს ომისთვის ფული აქვს რეგიონებისა და რესპუბლიკების ძარცვის ხარჯზე“

მარიამ მჭედლიშვილი



**იმ დროს, როცა საქართველოს აქტიური პოლიტიკოსები განაგრძობენ იერიშებს დასავლეთის წინააღმდეგ, რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში კი ამ მომენტში მცირე პროტესტია იმის გამო, რომ რუსეთის ფედერაცია სოხუმის აეროპორტის რეკონტრუქციას მოახდენს კერძო ინვესტორების დახმარებით, მასშტაბური პროცესები მწიფდება რუსეთის ფედერაციაში. ბოლო დროს გახშირდა განცხადებები იმის თაობაზე, რომ მოსკოვს გამოეყოფა ეროვნული რესპუბლიკები. საქმე შეიძლება რესპუბლიკების გამოყოფით არ შემოიფარგლოს.**

**საკითხზე „რადიო თავისუფლების“ კავკასიის ბიუროსთან იმსჯელა გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, ყალმუხეთის (კალმიკიის) მეცნიერებათა დამსახურებულმა მოღვაწემ, მარია ოჩირ-გორიაევამ. მისი დასკვნით, კრემლს მარტო ეროვნული რესპუბლიკები კი არ უნდა გაემიჯნონ, არამედ სხვა რეგიონებიც, რომლებსაც ცენტრი ძარცვავს. მისი შეფასებით, ნაძარცვ ფულს კრემლი ომებსა და სხვისი მიწების მიტაცებაში ხარჯავს, რუსეთის რეგიონები კი უფულოდ რჩებიან.**

**საქართველოსთვის, რომლის ტერიტორიები ოკუპირებული და „აღიარებული“ აქვს რუსეთს, და რომლის საზოგადოების ნაწილი (გაუგებარია, რისი იმედით) საკუთარ მომავალს რუსეთს უკავშირებს, საყურადღებოა რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე პროცესები.**

***– რამდენად რეალურია იმედი, რომ იქმნება დამოუკიდებელი ყალმუხეთი? რაზე იქნება ეს დამოკიდებული?***

– დამოუკიდებლობა დიდი ხანია, მომწიფდა. ეს არის აუცილებლობა. დიდი სახელმწიფოების ფარგლებში ყოველთვის ხდება ნიველირების პროცესები. ამიტომაც, რუსეთში მარტო რესპუბლიკები კი არა, ყველა რეგიონი დამოუკიდებელი უნდა გახდეს. მათ უნდა მოიპოვონ დამოუკიდებლობა, შემდეგ კი იფუნქციონირონ ევროკავშირის მსგავსად.

ეს იმას ნიშნავს, რომ ყველას ექნება თავისი სახელმწიფო, წესები და მმართველობა, საერთო საკითხებზე კი ისინი ერთად გამოვლენ.

დამოუკიდებელ სახელმწიფოებად დაშლა მნიშვნელოვანია რუსეთის ყველა ხალხებისთვის, მათ შორის, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრები რუსების პრობლემები და ინტერესები აშკარად განსხვავდება მოსკოველების პრობლემებისა და ინტერესებისაგან. დედაქალაქი ძარცვავს ყველა რეგიონს. ამიტომაც აქვს კრემლს ამდენი ფული ფართომასშტაბიანი ომის საწარმოებლად და სხვების მიწების მისატაცებლად. რეგიონების თანხები რომ თვითონ მათ რჩებოდეთ, ქვეყნის ხელმძღვანელობას ამდენი თანხა არ ექნებოდა, რუსეთის სიღრმეში კი ხალხი ბევრად უკეთ იცხოვრებდა. ამ ცენტრალიზებული სისტემისგან იტანჯება საზოგადოების ყველა ფენა.

***– ამასთან, რესპუბლიკების მდგომარეობა განსხვავდება ოლქებისა და მხარეების მდგომარეობისგან?***

– ეროვნული რესპუბლიკები, კონსტუტუციის თანახმად, ფედერაციის სუბიექტებს წარმოადგენენ. მოსკოვი მათ რეგიონების მსგავსად ძარცვავს და თან იქ ღიად ატარებს კოლონიალურ პოლიტიკას. მაგალითად, ცვლის საზღვრებს და ითვისებს საუკეთესო მიწებს. ყალმუხეთს წაართვეს ორი რაიონი და შექმნეს ასტრახანის ოლქი.

ინდუსტრიული პროექტები რესპუბლიკებს არ ეხება. შესაბამისად, მათი ეკონომიკა არ ვითარდება. იმპერიის პოლიტიკას მივყავართ იდენტობის, ენის, ტრადიციული კულტურის დაკარგვამდე.

***– რატომ თქვა ასე იოლად რესპუბლიკების მოსახლეობამ უარი სუვერენიტეტის ინსტიტუტებზე, რომლებიც 1990-იანი წლების დასაწყისში მიიღო?***

– „იოლად დათმო“ ადვილი სათქმელია. ჩეჩნეთის წინააღმდეგ ორი ომი რომ იყო? მოსკოვი აღორძინებდა იმპერიულ მიდგომას და სასტიკად ახშობდა ნებისმიერ პროტესტს. ყალმუხებს გამოსავალი არ ჰქონდათ.

***– დამკვიდრებულია აზრი, რომ რუსეთის საზოგადოება მასობრივად მხარს უჭერს ამ ომს. ეს ასეა?***

– რასაკვირველია, ომს მასობრივად უჭერენ მხარს. ადამიანებს უნდათ, როგორმე თავი გადაირჩინონ. ყველაფერს სახელმწიფო სისტემა წყვეტს.

მესამე რაიხის დროს გერმანელებიც მასობრივად ემხრობოდნენ ომს. შემდეგ, როცა პოლიტიკური სისტემა შეიცვალა, იგივე გერმანელები დემოკრატიულები გახდნენ. მსგავსი ცვლილება შეიძლება მოხდეს რუსეთის საზოგადოებაშიც. ამისათვის აუცილებელია სისტემის გარდაქმნა.

# „მიშას არ უნდა, ლიდერის როლი დაკარგოს“

## დათო ლორთქიფანიძე: „სააკაშვილმა იჩქარა ბოლო განცხადების გაკეთება, მას გადაავიწყდა, რომ „სასიკვდილოდ“ ავად იყო“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.

***– ბატონო დათო, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღების რთულ ეტაპზე, იმ ფონზე, როდესაც ერთ-ერთი რეკომენდაცია პოლარიზაციის შემცირებაა (და მისი შესრულება რთულია), გამოცოცხლდა სააკაშვილი და განაცხადა, პოლიტიკაში ვბრუნდებიო. „ქართული ოცნება“ სააკაშვილის პოლიტიკაში დაბრუნებით შეშინებული არ არის, რომ არჩევნებისთვის დიდი კონკურენტი ეყოლება? სააკაშვილის პოლიტიკაში დაბრუნებით, ნაცმოძრაობას დიდი ძალა არ შეემატა?***

– მიშა პოლიტიკიდან არასდროს წასულა. ის პროცესები, რომლის თანამონაწილეც თვითონ იყო მისი საპატიმრო ადგილზე მოხვედრისა და სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგ, პოლიტიკის ნაწილი გახლდათ, რათა მას შეექმნა განწყობები არა მარტო საქართველოში, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

პოლიტიკაში დაბრუნების შესახებ სააკაშვილის განცხადებას ვუყურებ, როგორც მიშას პოლიტიკურად ძალიან გათვლილ, შეგნებულ ნაბიჯებს. მას სურდა, საზოგადოებაში, განსაკუთრებით ევროპულ საზოგადოებაში, სხვაგვარი თანადგომა გამოეწვია, მაგრამ სტრასბურგის სასამართლომ მის ამ „პოლიტიკურ ქმედებებს“ ცივი წყალი გადაასხა.

ამიტომ მათ დღის წესრიგში დადგა, ის ქართულ საზოგადოებასთან ურთიერთობის ჩვეულ ფორმას დაუბრუნდეს. ამის გამო ვითომ პოლიტიკაში დაბრუნება გადაწყვიტა. არადა, მიშა პოლიტიკაში სულ იყო, პოლიტიკიდან არ გასულა.

ფაქტია, ახლა, სააკაშვილი ცდილობს, ქართულ პოლიტიკურ კლიმატს აქტიურად მოერგოს, რადგან მომავალ წელს აქტიური არჩევნების წელია, მაგრამ ერთი რამ ავიწყდება, ის საქართველოს მოქალაქე არ არის და ქართულ პოლიტიკაში ვერ ჩაერთვება. ახლა მიშას რისი იმედი აქვს?

***– პროცესები შიგნიდან რომ მართოს? რა, შიგნიდან პროცესების მართვას ვინმე დაუშლის?***

– არავინ დაუშლის. არც აქამდე უშლიდა, მაგრამ ვერაფერი გააკეთა. მიშას განცდა აქვს იმისა, რომ თუ „მედროშე“ ის იქნება, მაშინ საზოგადოების რაღაც ნაწილი გაჰყვება, ვინც მისი მხარდამჭერია, მაგრამ „მედროშე“ ვერ ხდება, რადგან იურიდიულად ამის უფლება არ აქვს.

მიშას უკრაინაში დაბრუნებაც რისკებთანაა დაკავშირებული, თავისი ხასიათიდან გამომდინარე.

***– უკრაინაში ისედაც ვერ წავა, რადგან ციხეშია.***

– მე ვამბობ პერსპექტივაში მიშა როგორ შეიძლება მოიქცეს. ის ჯერ ციხეშიც არ არის, კლინიკაშია. მისი პირველი გადაადგილება (უკრაინასა და საქართველოში კი არა), თუ სათანადო ჯანმრთელობის მდგომარეობა ექნება, ციხის გზაზე მოხდება.

***– ინფორმაცია ხომ არ გაქვთ, სააკაშვილს ციხეში გადაყვანას უპირებენ?***

– არა. თუ მიშას ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალებას მისცემს, რა თქმა უნდა, პენიტენციური სამსახური მას საპატიმრო ადგილში გადაიყვანს. ამაზე გადამწყვეტი სიტყვა ექიმებს ეკუთვნით.

სამედიცინო დარგის მუშაკები თავიანთ ქმედებებში თავისუფალნი არიან. ისინი მაქსიმალურად ბოლომდე ცდილობენ, მიშას ჯანმრთელობის მდგომარეობას ზიანი არ მიადგეს.

***– კობახიძემ განაცხადა, რომ ბოლო არჩევნებში ნაცმოძრაობას 32% ჰქონდა, ახლა***



***19% აქვს. გამოკითხვებსა და კვლევებში, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებმა ცოტა ხნის წინ გააკეთეს, ნაცმოძრაობას 8 თუ 9% ჰქონდა. სააკაშვილის გააქტიურების შემთხვევაში ამ პროცენტებს არ მოემატება და „ოცნებას“ გარკვეულ ბარიერებს არ შეუქმნის?***

– დარწმუნებული ვარ, მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერები გაცნობიერებულად უჭერენ მხარს, ანუ მიშა კლინიკაში იქნება, საპატიმრო ადგილში თუ ჰოლანდიაში, მისი მხარდამჭერებისთვის მნიშვნელობა არ აქვს. მიშა მათთვის იგივე მესიაა.

ისინი ასე ფიქრობენ. ამიტომ არავითარ ცვლილებას ეს არ გამოიწვევს. მიშას ჰყავს გარკვეული რაოდენობის მხარდამჭერი. არ ვიცი, რამდენი პროცენტია. ამას არჩევნები აჩვენებს.

ფაქტია, მისი აქტიური მხარდამჭერების რაოდენობა ყოველ არჩევნებზე იკლებს, მაგრამ ისინი კონკრეტულად მიშას მხარდამჭერებია და არა სხვისი.

***– როგორ ფიქრობთ, სააკაშვილს რამ უბიძგა, პოლიტიკაში დაბრუნების თაობაზე განეცხადებინა? თვითონ ნაცმოძრაობაში შიგნით არეულობამ თუ სხვა მიზეზებმა?***

– ვფიქრობ, მიშა გამოერკვა და უნდა, მისი როლი არ დაიკარგოს, მაგრამ მერაბიშვილი, ადეიშვილი და კეზერაშვილი მიშას ტყავს რომ არ დახევენ, ამაში ეჭვი არ მეპარება. უბრალოდ, მიშას არ უნდა, ლიდერის როლი დაკარგოს.

***– ზოგმა გამოთქვა მოსაზრება, თითქოს მერაბიშვილ-ადეიშვილ-კეზერაშვილის ტრიომ სააკაშვილს პარტია „აახია“. მიშა ამან ხომ არ გააააქტიურა?***

– არ ვიცი. იმასაც ამბობრენ, რომ ეს ადამიანები ხელისუფლებიდან იმართებიან, მაგრამ მე იმ პოზიციაზე ვარ, რომ ისინი და სააკაშვილი ერთნი არიან. უბრალოდ, ოპოზიციაში ყოფნამ მათ მეტი საშუალება მისცა, წინა პლანზე წამოწეულიყვნენ. ახლა, მიშა ცდილობს, ყველაფერს შიგნით თავისი სახელი დაარქვას.

***– რას გვიჩვენებს სააკაშვილის ახლა გააქტიურება და იმის თქმა, მას შეუძლია პოლიტიკაში კვლავ აქტიური იყოს? რას ნიშნავს ეს? იმას ნიშნავს, რომ მიშა ავად აღარ არის, არ მოუწამლავთ? ამბობდნენ, დემენცია და კიდევ ათასგვარი დაავადებები აქვსო.***

– ჩემი აზრით, მან იჩქარა ბოლო განცხადების გაკეთება, როცა გაერთიანებისკენ მოუწოდა. იჩქარა, რადგან ალბათ, მას გადაავიწყდა, რომ „სასიკვდილოდ“ ავად იყო.

ახლა მიხვდა, რომ ცოტა აცდენა მოუვიდა მის რეალურ ჯანმრთელობის მდგომარეობასთან. გუშინ გააკეთა განცხადება, უძლურ მდგომარეობაში კი ვარ, მაგრამ ჩემი აზრის გამოხატვის უფლებას ვერავინ წამართმევსო. პოზიცია უკვე შეცვალა, ანუ აზრზე ვარ, მაგრამ მოძრაობა არ შემიძლიაო. მისი ბოლო განცხადება დაახლოებით ამას ნიშნავს.

მოძრაობა არ შეუძლია იმიტომ, რომ კონსტიტუციურად საქართველოს მოქალაქე არ არის, ხოლო სამართლებრივად პატიმარია. ეს ორი კომპონენტი ერთმანეთს ავსებს.

***– ხან ისე უნდა თავის წარმოჩენა, ხან – ასე. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებამ ხომ არ უბიძგა გამოფხიზლებულიყო?***

– სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას მისმა მხარდამჭერებმა, ადვოკატებმა სხვადასხვა ინტერპრეტაცია მისცეს, მაგრამ ფაქტია, რომ ცივი შხაპის ეფექტი იქონია.

# პრემიერ-მინისტრი თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს გენერალურ მდივანს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს გენერალურ მდივანს, გუბერნატორ სეიფულლაჰ ჰაჯიმუფთუოღლუს შეხვდა.

შეხვედრაზე საუბარი ორ ქვეყანას შორის არსებულ სტრატეგიულ პარტნიორობასა და თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივებს შეეხო. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, მისასალმებელია, რომ მთავრობებს შორის არის მზაობა არსებული პარტნიორობის კიდევ უფრო გასაღრმავებლად და გასაძლიერებლად.

ხაზი გაესვა, რომ საქართველო აფასებს თურქეთის მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე, საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ.

აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია ორმხრივი სტრატეგიული პარტნიორობის შემდგომი გაღრმავება, არამხოლოდ პოლიტიკურსა და ეკონომიკურ, არამედ უსაფრთხოების მიმართულებითაც.

ყურადღება გამახვილდა საქართველოსა და თურქეთს შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობაზე. ხაზგასმით აღინიშნა ამ მიმართულებით ურთიერთქმედების კიდევ უფრო გაძლიერების მნიშვნელობა რეგიონის სტაბილური და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური და თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ალი ქაან ორბაი ესწრებოდნენ.

# საქართველოს პროკურატურამ 2010 წელს უკანონოდ ჩამორთმეული მიწის ნაკვეთის დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო

სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა ქონების უკანონოდ ჩამორთმევის მორიგი ფაქტი გამოავლინა და დაზარალებულის უფლებების აღდგენის მიზნით, მისთვის კუთვნილი ქონებების დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.



ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2010 წლის სექტემბერში, ცალკეულმა საჯარო მოხელეებმა ჯ.თ-ს კატეგორიულად მოსთხოვეს, რომ დედამისს რ.თ.-ს დაბა წყნეთში მდებარე მისი კუთვნილი 1.000 კვ. მ მიწის ნაკვეთი დაეთმო, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთს სახელმწიფოს არ გადასცემდნენ, რ.თ-ს პატიმრობა ემუქრებოდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რ.თ-ს მიმართ გამოძიება არ მიმდინარეობდა.

საჯარო მოხელეთა ამგვარი ზეწოლის შედეგად, ჯ.თ-მ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან შესაძლო ხელოვნური პრობლემების თავიდან ასაცილებლად, რ.თ-სგან მიღებული მინდობილობის საფუძველზე ზემოაღნიშნული უძრავი ქონება სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმო. სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შემდეგ მიწის ნაკვეთი თვითმმართველი ერთეულის ბალანსზე აღირიცხა.

ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ რ. თ-ს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი კანონის სრული დაცვით ჰქონდა რეგისტრირებული და მისი ჩამორთმევის რაიმე სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა.

დეპარტამენტი მიმართავს შესაბამისს უწყებას, რათა დაზარალებულ მოქალაქეს დაუბრუნდეს ამჟამად სახელმწიფო ბალანსზე რიცხული აღნიშნული მიწის ნაკვეთი.

დეპარტამენტის შექმნიდან დღემდე დაზარალებულად იქნა ცნობილი 474 პირი, რომელთაგან 332 პირს პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაუბრუნდა ან/და დაბრუნების პროცესშია დაახლოებით 67.000.000 ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება. გარდა ამისა, დეპარტამენტის მიერ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობით, სასამართლოს 122 მსჯავრდებულის საქმეზე მიემართა. დღეის მდგომარეობით, სასამართლოს გადაწყვეტილებით 118 პირის მიმართ უკვე დამდგარია გამამართლებელი განაჩენი, მათგან 30 პირს საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით, მინიჭებული აქვს პოლიტპატიმრის სტატუსი.

# მცხეთასთან ავტოსაგზაო შემთხვევას ერთი პირი ემსხვერპლა, არიან დაშავებულებიც

მცხეთასთან ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 1 პირი დაიღუპა, 3 დაშავდა.

არსებული ინფორმაციით, ავტომობილი კედელს შეეჯახა, რის შედეგადაც ცეცხლი გაუჩნდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" შს სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

# საქართველოს პროკურატურამ ტურისტების მიმართ ჩადენილი თაღლითობის ფაქტზე 8 პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, ორგანიზებული ჯგუფის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა კუთვნილი თანხების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, 8 პირს ბრალდება წარუდგინა. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას საქართველოს გენერალური პროკურატურა ავრცელებს.



უწყების ცნობით, კლუბ „ნაის ქლაბის" თანამშრომლებმა ტურისტების კუთვნილი თანხების მოტყუებით დაუფლების მიზნით, ორგანიზებული ჯგუფი შექმნეს.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები არაერთი უცხო ქვეყნის მოქალაქის ფულად თანხას, მათ შორის – ისრაელის, იორდანიისა და რუსეთის 7 მოქალაქის კუთვნილ 1.600 ლარსა და 2.350 აშშ დოლარს თაღლითურად დაეუფლნენ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ კლუბ „ნაის ქლაბის" მფლობელებმა რ.მ.-მ და გ.ც.-მ, ამავე კლუბის სამ თანამშრომელთან ერთად, ტურისტების კუთვნილი თანხების მოტყუებით დაუფლების მიზნით, ორგანიზებული ჯგუფი შექმნეს. შემუშავებული გეგმის მიხედვით, ბრალდებულები შეუთანხმდნენ კერძო ტაქსის რამდენიმე მძღოლს, რომლებსაც უცხო ქვეყნის მოქალაქეები კლუბ „ნაის ქლაბში" სპეციალურად მიჰყავდათ.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები ტურისტებს არწმუნებდნენ, რომ მოუწევდათ მხოლოდ შესვლის საფასურის გადახდა და მათ უფასო სასმელით გაუმასპინძლდებოდნენ. ანგარიშსწორებისას, ტურისტებს ბრალდებულები სთხოვდნენ გადაეხადათ მიღებული მომსახურების შეუსაბამოდ დიდი საფასური, უარის შემთხვევაში კი, მათზე ფსიქოლოგიურ ძალადობას ახორციელებდნენ. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები ზემოხსენებული ხერხით არაერთი უცხო ქვეყნის მოქალაქის ფულად თანხას, მათ შორის – ისრაელის, იორდანიისა და რუსეთის 7 მოქალაქის კუთვნილ 1.600 ლარსა და 2.350 აშშ დოლარს თაღლითურად დაეუფლნენ.

აღნიშნული ქმედებისთვის, მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ" და მეოთხე ნაწილის „ა" ქვეპუნქტებით წარედგინათ, რაც ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ თაღლითობას გულისხმობს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. დანაშაული სასჯელის სახით 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

# პროკურატურამ, ჯგუფურად, დიდი ოდენობით თანხების მითვისების ფაქტზე სამ პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ, ჯგუფურად, მოქალაქეთა დიდი ოდენობით თანხების მითვისების ფაქტზე სამ პირს ბრალდება წარუდგინა. ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ შპს „ქართრეიდის" დილერმა და ამავე კომპანიის დირექტორებმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ავტომობილის შეძენის მსურველი 7 პირისგან, 209.220.00 აშშ დოლარი მიიღეს, საიდანაც ავტომობილების შესაძენად, მხოლოდ 145.210.62 აშშ დოლარი გადარიცხეს, ხოლო 122.712.37 აშშ დოლარი წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს, რითაც დაზარალებულებს დიდი ოდენობით ზიანი მიაყენეს.

სამივე პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" და მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად შვიდიდან თერთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



პროკურატურა ორი პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების, ხოლო კიდევ ერთი ბრალდებულის მიმართ გირაოს გამოყენების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს გამოძიებას სხვა დანაშაულებრივი ეპიზოდებისა და დანაშაულებრივ ჯგუფში მონაწილე პირების დადგენის მიზნით.

საქართველოს პროკურატურა მოუწოდებს მოქალაქეებს, მათ მიმართ განხორციელებული ანალოგიური ქმედების არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიმართონ სამართალდამცავ ორგანოებს.



# მოშიმშილე მაღაროელები: „3000 ლარი არასდროს აგვიღია"



გაფიცული მაღაროელები მათ წინააღმდეგ დაწყებულ დეზინფორმაციულ კამპანიას ეხმაურებიან და ამბობენ, რომ სოციალურ ქსელებში გავრცელებული ცნობები, თითქოს მაღაროელების ხელფასი 3 ათას ლარს აღემატება, სიცრუეა.

– ვნახეთ სოციალურ ქსელში არის ეგეთი ფაქტი და სურათი გაზიარებული, დევს, რომ 3.050 ლარი გვერიცხება თურმე ჩვენ. ჩვენ ეს თანხა არასდროს აგვიღია და არ დაგვინახია ჩვენს სახელფასო ბარათზე დარიცხული და უშალოდ გიორგი კუპატაძეს შეეხნენ, რომელსაც 1.457 ლარი უფიქსირდება ხელფასი, მაგის ფაქტიც გვაქვს, სურათიც გვაქვს და ბანკის ამონაწერიც. ამ ცრუ ინფორმაციებს ნუ დაეყრდნობით.

დღეს დედებს უნდა დაეწყოთ შიმშილობა ჭიათურაში, აპირებდნენ ყველანაირად, რომ დედები შვილებს დადგომოდნენ გვერდში, რადგან თავისი სიმართლე ვერ გაიტანეს და დედებმაც მიიღეს დაზიანება თავისი შვილების ტკივილით, – ამბობს აქციის ერთ-ერთი მონაწილე.

შეგახსენებთ, რომ ჭიათურაში მაღაროელების საპროტესტო აქცია უკვე მეჩვიდმეტე დღეა, რაც გრძელდება. მაღაროელები უკვე თერთმეტი დღეა შიმშილობენ. პროტესტის მეორე ეპიცენტრია თბილისი. მაღაროელებმა რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ, უკვე რამდენიმე დღეა, რაც კარვები გაშალეს და ღამეებს იქ ათევენ.

მაღაროში დასაქმებულები კომპანია „ჯორჯიან მანგანეზისგან" ხელფასის ზრდასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ითხოვენ. კომპანია დასაქმებულებს ხელფასის მხოლოდ 5%-ით გაზრდას სთავაზობს, რაც მაღაროელებისთვის მიუღებელია.

# რუსთავში ორი ადამიანი შაურმით მოიწამლა

რუსთავში შაურმით ორი ადამიანი მოიწამლა. ინფორმაციას „ინფო რუსთავი" ავრცელებს.

როგორც დაჩი აბაშიძე სააგენტოსთან საუბრისას ამბობს, მან შაურმის მირთმევის შემდეგ მწვავე ინტოქსიკაცია მიიღო.

– შაურმით მოვიწამლე, გლოვოთი მქონდა გამოძახებული. ექიმებმა მწვავე ინტოქსიკაციააო. მართალია, საშაურმემ დამირეკა ბოდიშებით და ა.შ. მაგრამ ისეთი დღე გადავიტანე, ახლაც კი ცუდად ვარ, – განუცხადა საინფორმაციო სააგენტოს დაჩი აბაშიძემ.

მეორე მოწამლული, რომელმაც იმავე ობიექტიდან გამოიძახა შაურმა, აცხადებს, რომ ინტოქსიკაციის გამო, მასაც საავადმყოფოში გადაყვანა დასჭირდა.

# გიორგი სუხიტაშვილი: „ქმედებები იქამდე მივა, რომ ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყოს"

მომღერალი გიორგი სუხიტაშვილი, რომელიც იტალიაში საკონცერტო ტურნეში იმყოფება, ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეს ხედავს:

– სამწუხაროდ, ჩვენი მტრის წისქვილზე წყლის დამსხმელთა ქმედებები იქამდე მივა, რომ ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყოს.

ამის საფრთხე რეალურია.

ჯერ დაიწყეს ისეთი ადამიანების ფიზიკურად დაზიანება, ვისაც ამდენი ხანია აშავებენ, რომ მათ დასაცავად ხმის ამოღებას მოერიდოს ხალხი.

შემდეგი ეტაპი იქნება უფრო მასშტაბური და აგრესიული, შესაძლოა, უფრო შეუბღალავი რეპუტაციის მქონე ადამიანებსაც გაუსწორდნენ ქუჩაში, კაფეში, ბარში და ა.შ.

ვიდრე დროა და ვიდრე ეს მეტასტაზები მომაკვდინებელი გამხდარა, აუცილებელია, დროულად შეჩერდეს ეს მავნებლობა.

რაც ხდება, ეს ქვეყნის სიყვარულისა და მისი დაცვის გარდა, ყველაფერია.

ეს გზა ბევრჯერ გავიარეთ და ბევრჯერ დავხოცეთ ერთმანეთი, ისევ იგივე ორმოში ვცვივდებით.

ისევ დაინახავთ ქუჩაში იარაღით მორბენალ ქართველებს, რომლებიც ერთმანეთს ესვრიან.

ამაზე ვიფიქროთ ყველამ!

ვინც ამას მართავს, არც ერთი ღელავს, არც ეკლესიაზე, არც სიწმინდეზე, არც მომავალზე და არც რამე ისეთზე, რაც პატრიოტიზმთანაა ახლოს, ეს არის რელიგიური და ეროვნული გრძნობების გამოყენება იმათ გასანადგურებლად, ვინც უბრალოდ მათ არ ეთანხმება, ან ვისაც რუსეთი არ უნდა.

მე რომ ამ სტატუსის გამო დამესხას ვინმე თავს, რას იტყვით, სამშობლო არ მიყვარს? მიშას მოსვლა მინდა?

ერეკლე მეფეს ვაგინებ?
გეი აღლუმს ვატარებ?
თუ რამე სხვა?

არა, უბრალოდ მინდა თავისუფალი საქართველო ევროპული სიკეთეებით – უსაფრთხოება, ჯანდაცვა, კანონი, ადამიანის უფლებები.

ამის გამო კვერცხები უნდა მესროლონ და ცემა-ტყეპა გამიჩალონ? ეს არის ქვეყნის სიყვარული და მომავალზე ზრუნვა?

სად ხართ ის ადამიანები, ვისაც ეს არ მოგწონთ? სპორტსმენებო, მუსიკოსებო, მომღერლებო, მსახიობებო და სხვანო.



ამდენი წელია მხოლოდ ერთი და იგივე ხალხის ტყავზე რომ გადადის ეს ყველაფერი, პასუხისმგებლობას არ გრძნობთ?

თუ პოლიტიკოსი არ ხარ, ე.ი. არაფერზე გევალება ხმის ამოღება?

ძალიან თხელ ყინულზე ვართ შესული და ყველა ამ ყინულს ქვემოთ აღმოვჩნდებით, თუ გონიერებას არ მოვუხმეთ, თუ ისტორია არ გავაანალიზეთ და თუ მომავალი არ განვჭვრიტეთ.

იარაღი გავარდება და იმ ტყვიას უკან ვერავინ დააბრუნებს და ზუსტად ეგაა მიზანი ჩვენი ერთმორწმუნესი...

მიყვარხართ და თქვენი გონიერებისა მეიმედება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსი ოკუპანტების ახალი პრიორიტეტები




რუსეთ-უკრაინის ომში ვითარება შეიცვალა. ახლა უკრაინელები ინიციატივას მთელ ფრონტზე დაეუფლნენ. ამან განაპირობა რუსი ოკუპანტების პრიორიტეტების ცვლილებები.

რუსებმა გააძლიერეს თავდაცვითი ზღუდეები ყირიმში. ექსპერტი ოლეგ ჟდანოვი ვარაუდობს, რომ ეს შემთხვევით არ ხდება. რუსებს სერიოზულად ეშინიათ რუსული დესანტის გადმოსხმის ხერსონის ოლქის ოკუპირებულ ნაწილში და ყირიმში. შესაბამისად აგებენ ახალ-ახალ ზღუდეებს.

მოსკოვში არანაკლებ ეშინიათ ყირიმის ხიდზე სარაკეტო დარტყმისა. ამის თაობაზე ნათლად მეტყველებს რუსეთის თავდაცვის მინისტრის შოიგუს უკანასკნელი განცხადება:

– ყირიმი რუსეთის ტერიტორიაა! მასზე ნებისმიერი შეტევა, აღიქმება, როგორც აგრესია რუსეთის წინააღმდეგ, – ამტკიცებს შოიგუ.

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ უკრაინული არმია ამერიკისა და ნატოს ტექნიკითაა აღჭურვილი. შესაბამისად, ნებისმიერი დარტყმა ყირიმზე აღიქმება, თურმე, როგორც ამერიკელების აგრესია რუსეთის წინაალმდეგ.

მეორე ტერიტორია, სადაც რუსები ასევე ცდილობენ გამაგრებას, ზაპოროჟიეს ოლქია. ზაპოროჟიეს ოლქში გააფთრებული სატანკო ბრძოლებია. რუსებს გააჩნაით უპირატესობა ავიაციასა და ტანკების რაოდენობაში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს არაფერს ნიშნავს. უკრაინას გააჩნია თანამედროვე ტექნოლოგია, ამიტომ მცირე ძალებითაც კი შეტევაზე გადადის და მტერს უდიდეს ზიანს აყენებს. ზაპოროჟიეს ოლქის ნაწილი უკვე გათავისუფლებულია. იმედია, მალე უკრაინული დროშა დანარჩენ ტერიტორიაზეც აღიმართება.

სერიოზული ბრძოლებია აგრეთვე ბახმუტთან, ავდეევკასთან, მარინკასთან, ლიმანთან. აქ ოკუპანტებმა გადაისროლეს რეზერვები. რუსეთის არმიას აშკარად არ ჰყოფნის ჯარისკაცები, ამიტომ ბრძოლაში საპატიმროებიდან გათავისუფებული რეციდივისტებიც ჩააბეს. თუმცა, მსგავსი ნაბიჯების შედეგები ნულოვანია. რეციდივისტებს აშკარად არ სურთ ბრძოლა. პირველსავე ხელსაყრელ მომენტში ისინი ან გარბიან, ან უკრაინელებს ტყვედ ბარდებიან. ოკუპანტების ყველა მცდელობა, გადასულიყვნენ შეტევაზე ბახმუტის, მარინკის, ან ლიმანის მიმართულებით, კრახით დამთავრდა. რუსებმა აქაც თავდაცვის ზღუდეების აგება დაიწყეს. მიზანი უკრაინელების შესაძლო შეტევებისათვის ხელის შეშლაა.

ამრიგად, რუსების განუწყვეტელი შეტევების დრო დამთავრდა. ახლა ოკუპანტები თავდაცვაზე გადაერთვნენ. ეს მათი პირველი პრიორიტეტია, მეორე კი, დივერსიებისა და ტერორის გააქტიურებაა. თანახმად უკრაინის დაზვერვის ცნობისა, გაძლიერდება საინფორმაციო ომიც უკრაინის წინაალმდეგ.

აი, მოკლედ რუსი ოკუპანტების ახალი პრიორიტეტები.

# ბახმუტის ერთ ბოლოს უკრაინელები აკონტროლებენ, მეორეს — რუსები



გასული დღეების განმავლობაში რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ცვლილებები არ დაფიქსირებულა.

მთავარი ბრძოლები კვლავ ბახმუტის, ავდეევკის, მარინკისა და ლიმანის მახლობლად მიმდინარეობს. არ წყდება შეტაკებები ზაპოროჟიეს ოლქშიც.

რუსებმა რეზერვები გადასხეს ბახმუტთან, ავდეევკასთან, მარინკასთან, ლიმანთან, სვატოვო-კრემენოესთან. ამას შედეგი არ მოჰყოლია. უკრაინელებმა ყველა პოზიცია შეინარჩუნეს. მეტიც, გრძელდება უკრაინელების მიერ ბახმუტის მახლობლად სტრატეგიული სიმაღლეების დაკავება.

თავად ბახმუტში მდგომარეობა უცვლელია. ქალაქის ცენტრი ნანგრევებადაა ქცეული. ბახმუტის ერთ ბოლოს უკრაინელები აკონტროლებენ, მეორეს – რუსები. რაც შეეხება ავდეევკას, მარინკას, სვატოვო-კრემენოეს ან ლიმანის მიმართულებას, აქ რუსების კონტრშეტევამ შედეგები ვერ მოიტანა. უკრაინელებმა ყველა იერიში მოიგერიეს და მტერს საგრძნობი დანაკარგებით დაახევინეს უკან.

რაც შეეხება ზაპოროჟიეს მიმართულებას, აქ ერთგვარი პოზიტიური ცვლილებებია. უკრაინელებმა დაიკავეს კიდევ რამდენიმე დასახებული პუნქტი. ჩაიშალა ოკუპანტების ყველა მცდელობა, შეეკავებიათ უკრაინელთა იერიშები.

უკრაინელი ექსპერტის ოლეგ ჟდანოვის ცნობით, უკრაინული მასიური კონტრშეტევა ჯერ არ დაწყებულა. ის, რაც ხდება, ლოკალური შეტევებია, თუმცა, წარმატება სახეზეა – უკრაინელებმა მოზრდილი ტერიტორია გაათავისუფლეს. მათ გააძევეს რუსები ზაპოროჟიეს, აგრეთვე დონბასის ოლქის ტერიტორიებიდან. როგორც ცნობილია, პუტინის ბრძანებით აქ ფსევდორეფერენდუმი ჩაატარეს და ეს მხარე რუსეთის ნაწილად აღიარეს.

# ფართომასშტაბიანი უკრაინული კონტრშეტევა ჯერ არ დაწყებულა

ამერიკელმა გადამდგარმა გენერალმა, ბრიდლავმა განაცხადა, რომ ფართომასშტაბიანი უკრაინული კონტრშეტევა ჯერ არ დაწყებულა. მიზეზი წვიმიანი ამინდებია, ტანკები ტალახში ჩაეფლობიან. ამიტომ შეტევითი ოპერაციები ლოკალურ ხასიათს ატარებენ.

– მიუხედავად ამისა, უკრაინელთა ლოკალური კონტრშეტევის შედეგად მოხერხდა მოზრდილი ტერიტორიების გათავისუფლება, განხორციელდა დარტყმა მოსკოვზეც. შესაბამისად, შედეგები იმაზე ბევრად მეტია, ვიდრე ველოდით, – აცხადებს ბრიდლავი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# კლიმატის ცვლილების გამო, დედამიწა, შესაძლოა, სრულ ქაოსში შევიდეს

დედამიწის სისტემაზე ადამიანთა აქტივობის ზემოქმედებამ შეიძლება არაპროგნოზირებად ქაოსამდე მიგვიყვანოს, საიდან გამოსვლაც შეუძლებელი იქნება. ამის შესახებ ფიზიკოსთა ახალი გამოთვლები მიუთითებს.

დედამიწის სისტემაზე ადამიანთა აქტივობის ზემოქმედებამ შეიძლება არაპროგნოზირებად ქაოსამდე მიგვიყვანოს, საიდან გამოსვლაც შეუძლებელი იქნება. ამის შესახებ ფიზიკოსთა ახალი გამოთვლები მიუთითებს.

– კლიმატის ცვლილების შედეგები კარგად არის ცნობილი (გვალვები, სითბური ტალღები, ექსტრემალური ფენომენები და ა. შ.). თუკი დედამიწის სისტემა ქაოსური ქცევის რეგიონში შევა, პრობლემის როგორლაც გამოსწორების ყველანაირი იმედი გაქრება, – ამბობს ფიზიკოსი ორფეუ ბერტოლამი.

უკვე რამდენიმე წელია, ამინდის ექსტრემალური მოვლენები უფრო რეგულარულად ხდება. გიზგიზებს ტყის ხანძრები, მძვინვარებს შტორმები, ტემპერატურა ახალ რეკორდებს იპყრობს. კლიმატური მეცნიერები დიდი ხანია გვაფრთხილებენ, რომ ეს ადამიანის საქმიანობის შედეგია, მაგალითად, წიაღისეული საწვავის წვის, ტყის ჩეხვისა და სოფლის მეურნეობის ზრდის.

ახლა ადამიანის გავლენა შეზღუდულია. დედამიწას აქვს საცხოვრებელი სივრცის შეზღუდული რაოდენობა, რესურსების შეზღუდული რაოდენობა და შეზღუდულია ჩვენ მიერ მათი გამოყენების მაჩვენებელიც. ამ მაქსიმალური ტევადობის გათვალისწინებით, მკვლევარებმა გადაწყვიტეს, ანთროპოცენის ფაზური გადასვლის შესაძლო შედეგები ლოგისტიკური რუკის გამოყენებით აღეწერათ; ეს გახლავთ ინსტრუმენტი, რომლითაც შეიძლება შევისწავლოთ, რამდენად კომპლექსური შედეგები და თუნდაც ქაოსი შეიძლება განვითარდეს ამ მარტივი წერტილიდან.



როგორც მათმა შედეგებმა აჩვენა, სულაც არ მივემართებით გარკვეული კლიმატური აპოკალიფსისკენ. შეიძლება მივუყვებოდეთ საკმაოდ რეგულარულ და პროგნოზირებად ტრაექტორიას, რომლის სასრული წერტილიც არის კლიმატის სტაბილიზაცია იმაზე მაღალ საშუალო ტემპერატურულ წერტილზე, რომელიც დღეს გვაქვს. ეს კი მაინც არაა კარგი, თუ გავითვალისწინებთ იმ სასიკვდილო ეფექტებს, რასაც უკვე ვხედავთ ადამიანებსა და სხვა ცხოველებზე.

თუმცა, უფრო ექსტრემალურ დასასრულში, დედამიწას გაჩანაგება ემუქრება. ეს იმას ნიშნავს, რომ დედამიწის სისტემა ქაოსურ ქცევაში გადადის, ექსტრემალური სეზონური რყევები და ამინდები, რაც გამორიცხავს სისტემის მომავალი ქცევის პროგნოზირებას და შეუძლებელს ხდის მის შერბილებას. ანუ, სტაბილური კლიმატის დაბრუნება უკიდურესად რთული იქნება, თუ საერთოდ შეუძლებელი არა.

## სპორტი

# ბესიკ ხამაშურიძე: ოლიმპიადაზე უნდა ვითამაშოთ

**მესამე ევროპულ თამაშებზე გაემგზავრა საქართველოს 7-კაცა. ბესიკ ხამაშურიძის გაწვრთნილი გუნდი 25-27 ივნისს 2024 წლის პარიზის ოლიმპიური თამაშების საგზურის მოპოვებას ეცდება. პოლონეთში გამგზავრებამდე მარტყოფის სარაგბო ბაზაზე სამდღიანი შეკრება გაიარა, მთავარი მწვრთნელი კმაყოფილია და გეგმები ამბიციური — დამოუკიდებელი საქართველოს პირველი გუნდი ოლიმპიადაზე — ასეთია ჩვენი გუნდის დევიზი.**

**ბესიკ ხამაშურიძე:**

– გამოცდილებამ გვანახა, რომ ხანმოკლე შეკრებები ბევრად უფრო ეფექტურია. ასეთი მოქნილი მზადების სისტემის დროს, ვარჯიშები უფრო ინტენსიურია და ყველა მაქსიმალურადაა ჩართული. გავიარეთ დაცვისა და შეტევის სისტემები და ვფიქრობ, პოლონეთში კარგად მომზადებულები მივდივართ. მინდა მადლობა გადავუხადო ბიჭებს, რომლებიც უდიდესი პასუხისმგებლობით უდგებიან საქმეს და მთელი ეს პერიოდი დისციპლინის მხრივ მინიმალური პრობლემაც არ შეგვქმნია. ყველამ თავდაუზოგავად იშრომა და ზუსტად ვიცი, მაქსიმუმს გაიღებენ სასურველი შედეგის მისაღწევად.



კრაკოვში ჩვენები ბ ჯგუფში, ესპანეთთან, ბელგიასთან და ჩეხეთთან ერთად მოხვდნენ. ა ჯგუფში ირლანდია, გერმანია, იტალია და პოლონეთი ითამაშებენ, ხოლო გ ჯგუფში – დიდი ბრიტანეთი, პორტუგალია, ლიეტუვა და რუმინეთი.

– ვიცოდით, რომ რაგბში ევროპის ჩემპიონატის პირველი ეტაპის შედეგები განსაზღვრავდა, თუ ვინ იქნებოდა ჩვენი მეტოქე ევროპულ თამაშებზე. ჩეხეთი და ბელგია შედარებით სუსტი მოწინააღმდეგეები არიან. თუმცა, ისიც გააზრებული გვაქვს, რომ კრაკოვში ყველა გუნდი მაქსიმუმს ეცდება და იოლი თამაში არც ერთი იქნება. ვეცდებით, ჯგუფიდან პირველი ადგილით გავიდეთ, რათა მეოთხედფინალში შედარებით იოლი თამაში გვქონდეს. პორტუგალიაში ფინალში გასვლით თამასა ძალიან მაღლა ავწიეთ, მოლოდინი გავაჩინეთ და ფაქტობრივად უკან დასახევი გზა მოვიჭერით. ზუსტად ვიცი, რომ მიზნის მისაღწევად კრაკოვში თავს არავინ დაზოგავს და დანარჩენს უშუალოდ თამაშები დაგვანახებს.

რაგბი ევროპის ჩემპიონატის პირველ, ალგარვეს ეტაპზე ნათამაშევი შემადგენლობიდან, კრაკოვში ოთხი ვერ მიდის. მათ ნაცვლად 13-კაციან განაცხადში არიან ბათუმის გამოცდილი უკანახაზელები გიორგი ფრუიძე და ანზორ სიჭინავა, ასევე ლოკომოტივის ახალგაზრდა მორაგბეები – რომან მახათაძე და ლუკა სახელაშვილი.

– ცვლილებები ძირითადად ტრავმებმა განაპირობა. ბიჭებს სწრაფ გამოჯანმრთელებას ვუსურვებ. მათ ნაცვლად კრაკოვში გიორგი ფრუიძე და ანზორ სიჭინავა მიგვყავს. ორივეს აქვს 7-კაცას გამოცდილება და მათ ვარჯიშებს სწრაფად აუღეს ალღო. ასეთ მნიშვნელოვან ტურნირზე ამ ბიჭების გამოცდილება ძალიან გამოგვადგება. ასევე დაგვემატნენ ახალგაზრდა რომან მახათაძე და ლუკა სახელაშვილი. რომა დიდი ხანია ჩვენთან ვარჯიშობს, ათლეტური და ენერგიული მოთამაშეა. ლუკა 20-წლამდელთა შეკრების შემდეგ შემოგვიერთდა. მას დიდი 10-იდან ვიცნობ და ფეთქებადი, ძლიერი მოთამაშეა.

ევროპული თამაშების გამარჯვებული გუნდი 2024 წლის პარიზის ოლიმპიური თამაშების საგზურს მიიღებს, მეორე და მესამე გუნდი კი მიზნის მიღწევას საკონტინენტთაშორისო შესარჩევი ტურნირის მოგებით ეცდება.

**7-კაცას შემადგენლობა ევროპულ თამაშებზე:**

ნიკოლოზ რეხვიაშვილი, სერგი ჩხაიძე (ორივე ყოჩები), ბექა გელხვიძე, გაგა ქევხიშვილი (ორივე ლელო), ირაკლი სიმსივე (აია), სოსო მათიაშვილი, ლაშა ლომიძე (ორივე შავი ლომი), გიორგი ფრუიძე, ანზორ სიჭინავა (ორივე ბათუმი), ლუკა სახელაშვილი, რომან მახათაძე (ორივე ლოკომოტივი), გიორგი ჭუაძე (აკადემია), გიორგი ჯობავა (ხვამლი).

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება: შეკრულობა (ყაბზობა, სველი და მშრალი კოლიტი), დიარეა, გასტრიტი, დისბაქტერიოზი, ენტერიტი, პარაზიტები, უსიამოვნო სუნი პირიდან. მხოლოდ მცენარეული საშუალებებით. მის: ალმაშენებლის №154. ექიმი – მზია. ტელ: 593 44 58 65.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა), ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: ალმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ისტორიული გამარჯვება — საქართველომ ევროპირველობა მოგებით დაიწყო

**საქართველო-პორტუგალია 2:0**
**თბილისი. დინამო არენა**
**1:0 გაგუა (37), 2:0 საზონოვი (45)**

**საქართველო:** კუტალაძე, ხვადაგიანი, საზონოვი, გელაშვილი, კალანდაძე, წიტაიშვილი (აზაროვი 58), გულიაშვილი (გოჩოლეიშვილი 58), მექვაბიშვილი (ლომინაძე 67), ნ.გაგნიძე, მოისწრაფიშვილი (დავითაშვილი 67), გაგუა (სიგუა 90)

**პორტუგალია:** სელტონი, ჟ.კარლუში (ბერნარდუ 71), პენეტრა, ტ.არაუხო, ტავარეში, დანტაში, ნევეში (ს.კოშტა 71), ალმეიდა, ა.სოუზა (კონსეისაუ 46), ნეტო, ვიტინია (ე.არაუხო 46)

**გაძევება:** ტ.არაუხო (76)

ახალგაზრდული ევროპირველობა საქართველომ ისე დაიწყო, უკეთესს რომ ვერ ვინატრებდით – რამაზ სვანაძის გაწვრთნილმა გუნდმა ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად მიჩნეული პორტუგალია 2:0 დაამარცხა.

პირველ ტაიმში უპირატესობას პორტუგალიელები კი ფლობდნენ, მაგრამ საქართველოს ნაკრები თავს ჭკვიანურად იცავდა. მართალია, შეტევაში ბევრი არაფერი გამოგვდიოდა, მაგრამ ორი გოლი გავიტანეთ: ჯერ გიორგი გაგუამ დასაჯა მცველები უყურადღებობისთვის, შემდეგ საბა საზონოვმა კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს მიუჩინა კარში ადგილი.

აღსანიშნავია, რომ ორივე გოლზე ასისტენტობა გიორგი წიტაიშვილმა გასწია.

მეორე ტაიმში პორტუგალიამ მაგრად შემოგვიტია. რამაზ სვანაძემ ეს დაინახა და დაცვა კიდევ უფრო „ჩააბეტონა". პორტუგალიელთა შეტევების სიმწვავემ იკლო, მაგრამ ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტთან მოდუნების უფლება არ გვქონდა. პორტუგალიელები შეტევებში გაერთნენ და გაგუას კარგი პასის შემდეგ გიორგი გოჩოლეიშვილი მეკარესთან პირისპირ გაეპარათ, რაც არაუხოს წითელ ბარათად დაუჯდათ.

დარჩენილ დროში საქართველოს ნაკრებს თავის დაცვა არ გასჭირვებია და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა.

ჯგუფის მეორე მატჩი ბელგიასა და ნიდერლანდებს შორის ფრედ, 0:0 დასრულდა და საქართველოს ნაკრების სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა.

პარალელურად, რუმინეთშიც ერთი ჯგუფის მატჩები გაიმართა. ესპანეთმა 3:0 მოუგო მასპინძლებს, ხოლო უკრაინამ 2:0 ხორვატია დაამარცხა.

**რამაზ სვანაძე:**

– გილოცავთ გამარჯვებას. ძალიან მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ 3 ქულის მხრივ, არამედ თავდაჯერებისთვის. მადლობა გულშემატკივარს იმ მუხტისთვის, რომელიც ტრიბუნიდან მოდიოდა. მათთან ერთად უფრო ძლიერები ვართ.

რთული თამაში იყო, ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი დავამარცხეთ, რომელიც ტიტულისთვის არის ჩამოსული. დარწმუნებული ვარ, მათი გეგმები არ შეიცვლება. თუმცა, გეგმები და მიზნები ჩვენც გვაქვს. ძალიან დიდი სურვილი გვაქვს, ჩვენი მაყურებლისა და ქვეყნის წინაშე წარმოვაჩინოთ საკუთარი თავი.



სასიხარულოა, რომ ორკვირიანმა მუშაობამ შედეგი მოიტანა. მზად ვიყავით თამაშისთვის და მადლობა ბიჭებს, რომ დავალება შეასრულეს და 3 ქულა ავიღეთ. სიხარულის საფუძველი გვაქვს, მაგრამ ახლა ყველაფერი თავიდან იწყება. ჯგუფში ორი თამაში გვაქვს დარჩენილი და ძალები რაც შეიძლება სწრაფად უნდა აღვიდგინოთ.

გუნდურობა, ერთიანობა, დავალებების შესრულება და უდიდესი სურვილი – ამ ფაქტორებმა განაპირობა სამი ქულა. მაჟორულ ნოტაზე დავიწყეთ ტურნირი. რთული იყო, რადგან დებიუტანტები ვართ. ჩვენთვის ბევრი რამ მოხდა პირველად. პორტუგალიასთან გამარჯვება სასიხარულოა, მაგრამ არავის მივცემთ იმის უფლებას, რომ მხოლოდ ამ თამაშით იცხოვროს. ეს დასაწყისია და ვეცდებით, რომ მაქსიმალურად გავახაროთ გულშემატკივრები.

მეორე ტაიმში პორტუგალიამ ტაქტიკა შეცვალა და დასაწყისში ცოტა გაგვიჭირდა. აზაროვის მოედანზე გამოსვლა და ჩვენი ტაქტიკური მონახაზის შეცვლაც ამით იყო განპირობებული. გავაანალიზებთ ბელგიის ნაკრების თამაშს და მომდევნო მატჩისთვის ყველაფერს ამის მიხედვით დავგეგმავთ.

**რუი ჟორჟე:**

– მატჩის შემდეგ გასახდელში მოთამაშეებთან ვისაუბრეთ და ვუთხარი, რომ ამ წაგებიდან დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. დარჩენილ ორ შეხვედრას უფრო მობილიზებულები უნდა შევხვდეთ. ახლა ფოკუსირებულები სწორედ შემდეგ მატჩებზე ვართ. ყველა ფეხბურთელს ესმის ამ შეხვედრების მნიშვნელობა და ეცდებიან, საუკეთესო შედეგი აჩვენონ.

ჩვენი მარცხის პირველი ფაქტორი ის იყო, რომ საქართველოს ნაკრები შინ თამაშობდა, ბევრი ქომაგი ამხნევებდა. ჩვენ კი ისეთი შეცდომები დავუშვით, რაც შემდეგ შეხვედრებში აღარ უნდა მოხდეს.

ძალიან ცუდია, რომ წავაგეთ. თამაშს ვაკონტროლებდით, თუმცა, დაცვაში არასწორი გადაწყვეტილებები მივიღეთ. ზუსტად იმ დროს გავუშვით ის 2 გოლი, როცა ამას ყველაზე ნაკლებად ველოდით. შეგვეძლო უფრო აგრესიულები ვყოფილიყავით, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. შეცვლამ შედეგი არ გამოიღო. მაგრამ მიზეზი ისიც იყო, რომ 0:2-ის გამო განწყობა შეიცვალა. არ მსურს ვინმეს შეცდომაზე ვისაუბრო, მაგრამ წაგების მიზეზი დაცვის სუსტი თამაში იყო. ამავე დროს, საგოლე მომენტები ვერ შევქმენით. ამიტომ მესმის, რომ ეს შედეგი ლოგიკურია. ფავორიტები ასეთ შეცდომებს არ უშვებენ.

# ცეცხლი დაინთო, საქართველო ჯერ უმედლოდ არის

ევროპის მესამე თამაშები ოფიციალურად გაიხსნა. ტურნირი 2 ივლისის ჩათვლით გაგრძელდება და 29 სახეობაში მედლების 253 კომპლექტი გათამაშდება. საქართველოდან სპორტის 16 სახეობაში 99 სპორტსმენი იასპარეზებს.

გახსნის საზეიმო ცერემონია კრაკოვში ჰენრიკ რეიმანის სახელობის სტადიონზე გაიმართა. სანახაობა რამდენიმე ნაწილად იყო დაყოფილი და როგორც მალოპოლსკის მხარის წარსულის მთავარ მოვლენებს, ასევე პოლონეთის ისტორიის გამორჩეულ მომენტებს აერთიანებდა. გულშემატკივრებმა ასევე იხილეს პოლონური ლეგენდების მცირე თეატრალიზებული წარმოდგენა და პოპულარული მუსიკოსების ნომრები. ეფექტური შოუთი გაიხსენეს პოლონეთის ისტორიაში გამორჩეული ადამიანები.




ევროპის ოლიმპიური კომიტეტების დროშის ალმართვის შემდეგ, სპეციალურად ამ დღისთვის სტადიონზე დამონტაჟებულ დიდ ეკრანზე პოლონეთის სპორტის სუპერვარსკვლავები გაიხსენეს.

ღონისძიების მთავარი ნაწილი აღლუმს დაეთმო. სხვებთან ერთად აღლუმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ოლიმპიურმა ნაკრებმა გუნდმაც. ჩვენი ნაკრების გუნდის მედროშეები იყვნენ მშვილდოსანი ციკო ფუტკარაძე და ნიჩბოსანი ზაზა ნადირაძე.

გახსნის ცერემონიას საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, საქართველოს კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე იოსებ ბალათურია, სეოკ-ის და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლები დაესწრნენ.

ღონისძიების მიწურულს დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს მალოპოლსკას მხარის მარშალმა ვიტოლდ კოზლოვსკიმ, კრაკოვის მერმა იაცეკ მაიხროვსკიმ, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტმა სპიროს კაპრალოსმა და პოლონეთის პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ. სტადიონის ეკრანზე აჩვენეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის თომას ბახის მისალმება.

ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ სარბენ ბილიკზე ვეტერანმა სპორტსმენებმა შეაბიჯეს და თამაშების ცეცხლის ფიალაც დაანთეს.

ჯერჯერობით, „ცეცხლი ვერ დაანთეს" ქართველმა სპორტსმენებმა. შეჯიბრების მეორე დღეს ქართველმა მძლეოსნებმა ერთი ადგილით უკან დაიხიეს. გუნდი მესამე დივიზიონშია და ორი დღის შემდეგ 195 ქულით 15 მონაწილეს შორის მე-7 ადგილს იკავებს.

ვაჟთა შორის ორი ქართველი მოხვდა პირველ სამეულში. უროს მტყორცნელთა შორის გოგა ჭიხვარიამ მეორე შედეგი აჩვენა – 62.81 მეტრი. ქართველ მძლეოსანს მხოლოდ ირლანდიელმა შონ მოკლერმა (63.83მ) აჯობა;

რაც შეეხება ბადროს მტყორცნელთა ასპარეზობას, აქ თემურ აბულაშვილი 54.98 მეტრით მესამე იყო და მხოლოდ ავსტრიელ ლუკას ვაისჰაიდინგერს (62.12მ) და მონტენეგროელ დანიელ ფურტულას (57.60მ) ჩამორჩა;

**სხვა ქართველი სპორტსმენების შედეგები ასეთია:**

**ვაჟები**

1500მ: თემურ მამედოვი – 4:13.38 წუთი (მე-9 ადგილი); 110მ თარჯრბენი: საბა სოსელია – 17.02 წამი (მე-9); 400მ თარჯრბენი: ლუკა ყუფუნია – 57.08 წამი (მე-11); სიგრძეზე ხტომა: ბაჩანა ხორავა – 7.35 მეტრი (მე-4);

**გოგონები**

800მ: გაიანე უსტიანი – 2:23.17 წუთი (მე-9); 110მ თარჯრბენი: ანა სოხაძე – 19.08 წამი (მე-12); 400მ თარჯრბენი: ანა სოხაძე – 1:06.84 წუთი (მე-9); ესტაფეტა 4X100მ: საქართველო (ანი მამაცაშვილი, ნატალია გრიგორიანი, ბელა ჭკადუა, ლიკა ხარჩილავა) – 50.88 წამი (მე-7); სამხტომი: ნატალია გრიგორიანი – 11.01 მეტრი (მე-9);

საქმეში ჩაებნენ ნიჩბოსნები და მხატვრული ცურვის წარმომადგენლებიც, მაგრამ ისინიც უშედეგოდ.

გია გაბედავას და მალხაზ ჭინჭარაშვილის წყვილმა 500 მეტრზე სპრინტში 1:51.854 წუთი აჩვენა. ეს კი, მხოლოდ მე-7 ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი და ნიჩბოსნები ფინალს მიღმა დარჩნენ.

ოსვენციმის საწყლოსნო ცენტრში მხატვრულ ცურვაში საკვალიფიკაციო ეტაპის დასრულების შემდეგ მარია ალავიძისა და ანი ყიფიანის წყვილმა ფინალურ ეტაპზე გადასვლა ვერ მოახერხა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# 20 წლამდე ნაკრები შეკრებას უნგრეთში გააგრძელებს

საქართველოს 20 წლამდე ნაკრებმა ლატვიური შეკრება დაასრულა. კოტე ტულუშის გაწვრთნილმა ჩვენმა გუნდმა რიგაში ყოფნის პერიოდში მოსამზადებელ ვარჯიშებთან ერთად 3 ამხანაგური მატჩი გამართა, რომელთაგან 2 დათმო და ერთში გამარჯვება მოიპოვა.



პირველი შეხვედრა ქართველებმა უკრაინასთან გამართეს და 56:66 დათმეს. დიდ შესვენებაზე უკრაინელები 28:21 იგებდნენ, რის შემდეგაც ლიდერი აღარ შეცვლილა. მატჩის ერთადერთი ორმაგი დუბლის ავტორი გიორგი მესხი გახლდათ, რომელმაც 11 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა. 11 ქულა მიითვალა ლუკა ლიკლიკაძემაც, ხოლო საქართველოს ნაკრებში ბომბარდირი სერგი ნინუა გახდა 14 ქულით.

მეორე შეხვედრა საქართველოს ნაკრებმა მასპინძელ ლატვიასთან გამართა და 68:76 დათმო. დიდ შესვენებამდე მასპინძლებმა მცირე უპირატესობა მოიპოვეს – 36:33. მატჩი ანალოგიური სცენარით გაგრძელდა და ქართველებმა თამაშის შემობრუნება ვერ მოახერხეს.

ლატვიასთან მატჩში საქართველოს ნაკრებში ყველაზე მეტი – 18 ქულა გიორგი სულაბერიძემ ჩააგდო. გიორგი მესხმა თავი 12 ქულას, 8 მოხსნას და 2 პასს მოუყარა. 14 ქულა გიორგი ოჩხიკიძის ანგარიშზე დაგროვდა.

შეკრების ბოლო შეხვედრა საქართველოს ნაკრებმა კვლავ უკრაინასთან გამართა და 79:70 მოიგო. შესვენებისთვის უკრაინელები 6 ქულას იგებდნენ, მაგრამ მესამე პერიოდი ჩვენმა გუნდმა 23:12 მოიგო, რამაც საბოლოოდ ქართველები გამარჯვებამდე მიიყვანა. ჩვენს გუნდში გიორგი სულაბერიძე გამოირჩა, რომელმაც 23 ქულა, 13 მოხსნა და 4 პასი მოაგროვა. 12 ქულა ჰქონდა სერგი ნინუას, ნიკოლოზ თოთლაძემ 11 ქულა და 4 პასი მიითვალა.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონისთვის ემზადება, რომელიც 7-დან 16 ივლისის ჩათვლით ჩრდილოეთ მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში გაიმართება.

დივიზიონში 20 ქვეყნის ნაკრებია თავმოყრილი, რომლებიც 4 ჯგუფში არიან განაწილებულნი. თითოეული გუნდის მიზანი საპრიზო ადგილების დაკავებაა, რადგან ელიტარული, ა დივიზიონის საგზურს 3 საუკეთესო ნაკრები მოიპოვებს. საქართველოს ნაკრები ც ჯგუფში მოხვდა, სადაც მისი მეტოქეები კოსოვო, შვედეთი, უკრაინა და აზერბაიჯანი იქნებიან.

საქართველოს ნაკრები ლატვიიდან ბულგარეთში გადავა, სადაც საერთაშორისო ამხანაგურ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ბულგარეთსა და საქართველოსთან ერთად ტურნირში ავსტრია იასპარეზებს.

ბულგარეთიდან ჩვენი გუნდი უნგრეთში გადავა, სადაც მასპინძლებთან 2 სპარინგ-მატჩს გამართავს. უნგრეთიდან კოტე ტულუშის გაწვრთნილი ნაკრები თბილისში დაბრუნდება და ერთკვირიანი ვარჯიშების შემდეგ, 5 ივლისს ევროპის ჩემპიონატზე, ჩრდილოეთ მაკედონიაში გაემგზავრება.

ჩვენი გუნდი ამ დროისთვის 14 კალათბურთელით ემზადება.

## კროსვორდი ბ




**შვეულად:** 1. ბანკის მევალეთა სარეგისტრაციო დავთარი; 2. პირველი გერმანული ოპერა; 3. ფულის ერთეული უკრაინაში; 4. ერთი მსახიობის თეატრი თბილისში; 6. ამაღლებული სცენა მოდების ჩვენებისთვის; 9. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 11. ხავერდის მსგავსი, ხშირხაოიანი ბამბის ქსოვილი; 15. ისტორიული ციხე-ქალაქი კახეთში; 16. უბანი ძველ თბილისში; 17. მდინარე აშშ-ში; 19. საფოსტო გზავნილება; 21. თეთრეულის, ტანსაცმლის მოსართავად გამოყენებული ორნამენტებიანი ბადურა ქსოვილი; 22. ამერიკელთა მეტსახელი სამხრეთ ამერიკაში.

**თარაზულად:** 5. ქართველი მოქანდაკე ქალი; 7. ძვირფასი სარეწაო თევზი; 8. უნგრეთის პრემიერ-მინისტრი; 10. ფრანგული სამოდელო ფირმა; 12. თერმოდინამიკის ფუძემდებელი ფრანგი ფიზიკოსი; 13. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა; 14. ქრისტიანული ღვთისმეტყველების გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით; 18. მამათა მონასტერი; 20. ქვევრის ღვინოში არსებული მრთიმლავი ნივთიერება; 23. ბოძების ჩასარჭობი მექანიკური მოწყობილობა; 24. ეგრისის მეფე; 25. პოპულარული კურორტი შვეიცარიაში; 26. მშენებლობაში გამოყენებული თიხისა და თაბაშირის გამომწვარი ნარევი; 27. სახელმწიფო აზიაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მომა; 2. ტესლა; 3. ილორი; 4. შევრო; 5. რეკეტი; 6. ზედაზენი; 8. აბასთუმანი; 10. ვინჩესტერი; 11. სამშვილდე; 14. აფექტი; 15. ემბაზი; 16. ზუმხა.

**თარაზულად:** 1. მასტიფი; 4. შარტრეზი; 7. მარსი; 9. კიევო; 12. ჭილაძე; 13. იალტა; 14. ატლასი; 17. ემისია; 18. კლეპტომანია; 19. ვიმპელი; 20. საინსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. თაკვერი; 2. მაიოლიკა; 3. ხირხატი; 5. აბორდაჟი; 7. ათაბაგი; 9. მაჭანკალი; 13. მოურავი; 15. ყადაღა; 16. დიდუბე; 18. თოიძე.

**თარაზულად:** 4. საქსაული; 6. ტრაპეცია; 8. ღვინობისთვე; 10. ურბნისი; 11. ჭოტი; 12. იგუანა; 14. წყალი; 17. აკიდო; 19. ოდიში; 20. ზურმუხტი; 21. იუტა; 22. საწნახელი; 23. მერკური.

ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge

23 ივნისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6260

ევრო — 2.8891

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3552

100 რუსული რუბლი — 3.1393

ამინდის პროგნოზი 23 ივნისისათვის




## უეფამ ჟოზე მოურინიო 4-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა

უეფამ რომას მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო 4-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა, რადგან მოურინიომ ევროპის ლიგის ფინალში, მატჩის მთავარ არბიტრს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ჟოზემ მატჩის შემდეგაც არ დაინდო მსაჯი და კამერამ ეს ყველაფერი დააფიქსირა. ამრიგად, მოურინიო ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ 4 შეხვედრას ტრიბუნიდან მიადევნებს თვალს.

## მამარდაშვილის შეძენა ტოტენჰემს სურს



ვალენსიას ქართველ მეკარეს გიორგი მამარდაშვილს ბევრი მსურველი ჰყავს და ერთ-ერთი მათგანი ტოტენჰემია, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მზად არის, ამ ტრანსფერში 25 მილიონი გადაიხადოს. მამარდაშვილის მიმართ ინტერესს ჩელსიც იჩენს, თუმცა, ისინი გაცილებით ნაკლებს იხდიან და სავარაუდოდ ვალენსია მათ პირობებს არ დათანხმდება. მამარდაშვილს კარგი სეზონი ჰქონდა და ის ესპანეთის ჩემპიონატში ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ ითვლება.

## ილკაი გუნდოგანი ბარსელონაში გადასვლასთან ახლოს არის

მანჩესტერ სიტის ნახევარმცველი ილკაი გუნდოგანი ბარსელონაში გადასვლასთან ახლოს არის და შესაძლოა, მან კონტრაქტს ხელი უახლოეს მომავალში მოაწეროს. გუნდოგანის ცოლს ძალიან უნდა ბარსელონაში ცხოვრება და გუნდოგანისთვის ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორია. ბარსელონა მზად არის, ამ ტრანსფერში 40 მილიონი გადაიხადოს და სიტი იძულებული იქნება, დათანხმდეს, რადგან მომავალ წელს გუნდოგანს გუნდთან კონტრაქტი უმთავრდება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## იუმორი

ქმარმა გადაწყვიტა კრედიტით მანქანა შეიძინოს, მაგრამ პირველად შენატანზე ფული არ ყოფნის. ცოლი ეუბნება:

– მაგაზე არ იდარდო, ხუთი ათასი მაქვს გადადებული.

– კი მაგრამ, საიდან ასეთი თანხა ძვირფასო?

– იცი რა, თავიდანვე გადავწყვიტე, რომ ყოველ ჯერზე, როდესაც სექსი გვექნებოდა, ერთი დოლარი გადამენახა.

– ღმერთო ჩემო, ეს რომ მცოდნოდა, დიდი ხნის წინ მივატოვებდი სამსახურს და მთელ დროს შენ დაგითმობდი!

•••

დედა შვილს ურეკავს და ეკითხება:

– შვილო, საჭმელი ჭამე?

– დედა, მე ხომ უკვე ცოლი მყავს...

– ჰოდა, იმიტომაც გეკითხები.

•••

ორი პოლიტიკოსი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ასე, 8-10 წლის შემდეგ, ჩვენ გერმანიაზე უკეთ ვიცხოვრებთ.

– ღმერთო ჩემო, რას უპირებთ გერმანიას?

•••

– ვერაფრით ვიპოვნე ჩემი ცხოვრების თანამგზავრი!

– წვერი და ულვაშები გაიპარსე.

– ფიქრობ, ეს მიშველის?

– სცადე, ლამარა, სცადე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კახა კინწურაშვილი: „კულტურის პოლიტიკა ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს“



მსახიობი კახა კინწურაშვილი საქართველოს ეროვნულ კინოცენტრში განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება:

– ქალბატონი მინისტრის მთავარი ამოცანა არის, რომ სახელოვნებო სივრცეში დატოვოს ის ხალხი, მხოლოდ და მხოლოდ, ვინც გაატარებს კონკრეტულად პარტიის ინტერესებს და არა კულტურის ინტერესებს.

რადგან არ არსებობს კულტურის პოლიტიკა ჩვენს ქვეყანაში, ამაზე არ არის დისკუსია, არის მხოლოდ და მხოლოდ, ყოველთვის ერთპიროვნული გადაწყვეტილებები, რაც სფეროს ანგრევს.

## ნინო ხარატიშვილი: „სოციალური ფონი ისეთი მწვავეა, რომ შევარდნაძის ეპოქას მალე „გაუსწრებს“



ასეთია მწერალ ნინო ხარატიშვილის თვალით დანახული ვითარება საქართველოში:

– სოციალური ფონი ისეთი მწვავეა, რომ შევარდნაძის ეპოქას „გაუსწრებს“ მალე.

ათიათასობით ადამიანი ქვეყანას ტოვებს.

სასოწარკვეთილი ადამიანები პირსა და თვალებს იკერავენ.

რუსეთთან უვიზო რეჟიმი დამყარდა და ქუჩაში გასულს თავი როსტოვში გვგონია.

ხელოვანები ყოველდღიურ რეჟიმში იბრძვიან, რომ ხელოვნების ჯერ კიდევ დარჩენილი და დამოუკიდებელი ნაწილი ჩინოვნიკებისა და სახელმწიფო აპარატის დაქვემდებარებაში არ გადავიდეს.

კოლეგებს კვერცხებს ესვრიან შუა ქუჩაში.

და ა.შ. და ა.შ.

და მმართველ პარტიას კი ელტონ ჯონის სექსუალური ცხოვრება ადარდებს.

ფრიად ადეკვატურია ეს ყველაფერი!

ბეკეტსაც კი შეშურდებოდა ჩვენი...

პ.ს. გამოვთქვი ჩემი გულისტკივილი და დაიწყო უკვე: „შენ რა განაღვლებს შენს გერმანიაში“ და „წადი, მიხედე შენს გერმანიას“ და ა.შ. და აქვე დავაზუსტებ, რომ არავინ შეიწუხოს და დაიღალოს ამ დისკუსიით თავი – მე ამ ქვეყნის ნაწილად ვთვლი თავს, ამ ქვეყნის მოქალაქეობის აღდგენისთვის ვიბრძოლე 7 წელი, დავიბრუნე საბედნიეროდ და ძალიან მინდა, პირველ რიგში, ამ ქვეყანას „მივხედოთ“ ვისაც ძალგვიძს და გვტკივა! გერმანია უჩემოდაც „მიხედილია“.

## დათო ევგენიძე: „როგორ შეიძლება ადამიანმა ქართველი ხელოვანების ჰონორარები მოიპაროს“



კომპოზიტორი დათო ევგენიძე საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის ხელმძღვანელის გიგა კობალაძის მიერ ქართველი ხელოვანებისთვის ჰონორარების მოპარვით გაოცებულია:

– გაოცებული ვარ, როგორ შეიძლება ადამიანმა ქართველი ხელოვანების ჰონორარები მოიპაროს, შემდეგ ეს ყველაფერი აუდიტის დასკვნით დაუმტკიცდეს და ოპოზიციურმა არხებმა ის გმირად შერაცხოს. იმის მაგივრად, რომ მან აგოს ამ ყველაფერზე პასუხი, დადის სხვადასხვა ტელევიზიაში და „გერას“ წევრებს რუსებს გვეძახის, იმ წევრებს, რომლებსაც კუთვნილი ფული წაგვართვა, მათ შორის, ჩემი ჰონორარიც, რომელიც რუსეთის ასოციაციიდან მასთან ირიცხებოდა, იტოვებდა თვითონ. დღეს კი ეს კაცი და ეს ორგანიზაცია ჩვენ გვეძახის რუსებს.

ვინც მე მიცნობს, ვინც იცის ჩემი ღირებულებები, პრინციპები და დამოკიდებულება რუსეთის მიმართ, როგორ შეიძლება იქ, სადაც მე ვარ და „გერას“ საბჭოს თავმჯდომარე მქვია, ვიყო „რუსული ორგანიზაციის“ წევრი, სასაცილოა უბრალოდ, მაგრამ ეს ხომ მოდაშია ახლა? თუ არაფერი გაქვს, რითაც შემებრძოლები, ქართველი ერის სისუსტეზე ვითამაშოთ და „რუსეთუმე“ ვეძახოთ, ყველა წამოეგება ამ ანკესს, უკვე აპრობირებული თემაა ეს ვიცით და მინდა გითხრა, გიგა, ეს უკვე მოძველდა, აღარ ჭრის.

მხოლოდ იმიტომ, იმ ასოციაციის რუსეთის ორგანიზაციად ხსენება, რომ მას აქვს ხელშეკრულება გაფორმებული ანალოგიურ რუსულ ორგანიზაცია „რაოსთან“, რომელთანაც ხელშეკრულება თავად საავტორო უფლებათა ასოციაციასაც კი ჰქონდა და რა გამოდის? „გერა“ რუსულია და ის აღარ? სასაცილო და ამაზრზენია უკვე. ეს ყალბი „საინფორმაციო ომიც“, მხოლოდ ოპოზიციური, ცალმხრივი არხებით რომ ცდილობენ რეპუტაციის შებღალვას.

არასდროს ვიქნები იმ ორგანიზაციაში, რომელსაც ფესვები იმ ქვეყანაში აქვს, რომელსაც ჩემი ქვეყნის 20%-ზე მეტი აქვს ოკუპირებული და თუ მე აქ ვარ, ე.ი. ამის გარანტიას ვიძლევი, რომ ეს არის კობალაძის თავის გასამართლებელი თავდასხმის უტიფარი, სამარცხვინო მცდელობები.

## სკვერის ბიბლიოთეკების მოწყობას არველაძეების ფონდი შეუერთდა



საქართველოში სკვერის ბიბლიოთეკების მოწყობის ინიციატივას, რომელიც ეროვნულ ბიბლიოთეკასა და გიორგი კეკელიძეს ეკუთვნით, არველაძეების ფონდი შეუერთდა.

**აჩი არველაძე:**

– ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტს, რომელიც სკვერის ბიბლიოთეკების მოწყობას უკავშირდება, ჩვენი ფონდი შეუერთდა და მემორანდუმის ფარგლებში, ამ კარგ წამოწყებას ერთიანი ძალებით გავაგრძელებთ. წლების მანძილზე, ეროვნული ბიბლიოთეკის ორგანიზებით, ათობით ასეთი სივრცე მოეწყო სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში. ახლა მნიშვნელოვანია, რომ ამასთან ერთად, სხვა ტიპის აქტივობებიც დავგეგმოთ და მოზარდებს, წიგნებთან ერთად, სპორტსა და სხვა საინტერესო აქტივობებზე წვდომის შესაძლებლობაც მივცეთ.

ფონდი არველაძე სიამოვნებით იწყებს თანამშრომლობას ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და მის ხელმძღვანელ გიორგი კეკელიძესთან. იმედი მაქვს, ჩვენი 2-წლიანი პარტნიორობა ნაყოფიერი იქნება და როგორც მოზარდებისთვის, ისე რეგიონებისთვის დასამახსოვრებელ გამოცდილებას შევქმნით.

## თეონა ქუმსიაშვილის სახელობის საღამოს „მზიური“ უმასპინძლებს



26 ივნისს ნოდარ დუმბაძის სახელობის ბავშვთა ქალაქ „მზიურში“ თეონა ქუმსიაშვილის სახელობის „ხევსურული საღამო – მთის საჩუქარი ბარს“ ჩატარდება.

მასში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს მთის რეგიონში მცხოვრები პოეტები, მომღერლები, მოცეკვავეები, ფოლკლორისტები.

2007 წლიდან თბილისში, ბავშვთა ქალაქ „მზიურში“ ტრადიციულად, ყოველ 26 ივნისს ტარდება „ხევსურული საღამო – მთის საჩუქარი ბარს“, სადაც ხევსური მომღერლების, პოეტების, სახალხო მთქმელებისა და მოცეკვავეების გარდა, საქართველოს მთის რეგიონის ყველა კუთხის წარმომადგენელი მონაწილეობს.

ღონისძიების მიზანია, პოპულარიცაზია გაუწიოს მთის კულტურას, გააცნოს თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს მთის ფოლკლორი და მთაში ტურიზმის განვითარებას შეუწყოს ხელი.

საღამოს დევიზია – თუ თბილისელები და დედაქალაქის სტუმრები ვერ მიდიან მთაში, მთა თავად მოდის მათთან!

თეონა ქუმსიაშვილის სახელობის საღამოზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პეკინის მეორე სახელწოდება; 2. მადრიდის „რეალში“ მოთამაშე, 50-იანი წლების ცნობილი უნგრელი ფეხბურთელი; 3. ფრანგული სამხედრო ვერტმფრენმზიდი ხომალდი; 4. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 5. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 8. კომერციული საქმიანობა; 9. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 12. დრამატული სიუჟეტის მუსიკალური ნაწარმოები გუნდისა და ორკესტრისათვის; 13. თხელი დაბეგვილი ხორცის ნაჭრის კატლეტი; 16. სახელმწიფოების, პარტიების გაერთიანება; 17. ქართული ტელეკომპანია; 19. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში; 20. ინდიელთა სოფლების სახელწოდება მექსიკაში.

**თარაზულად:** 6. კუთხე საქართველოში; 7. წრის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია რკალითა და ორი რადიუსით; 8. პატარა მაღაზია-სახელოსნო იტალიაში; 10. ხელოვნური წყალსაცავი დუშეთის რაიონში; 11. კურორტი რაჭაში; 14. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 15. ქართველი შტანგისტი, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი; 18. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 21. რიჰარდ შტრაუსის ოპერა; 22. ქართველთა სახელწოდება მაჰმადიანებში; 23. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 24. მანძილის საზომი ერთეული ზღვაოსნობაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

